გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
პარასკევი, 16 სექტემბერი, 2005 წელი.
№217 (5250)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ დიქტატურას მსოფლიოში მომავალი არა აქვს




„მე არ ვიცი, სად, მსოფლიოს რომელ ნაწილში მოხდება დემოკრატიული რევოლუცია, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ დიქტატურას მსოფლიოში მომავალი არა აქვს“, — განაცხადა აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა.

უნივერსიტეტში შეკრებილ აუდიტორიას საქართველოს პრეზიდენტი „ვარდების რევოლუციასა“ და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე ესაუბრა. გუშინვე თბილისის დროით 19 საათზე, საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიაზე სიტყვით გამოვიდა.

ინტერპრესნიუსი

## „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ ვატიკანის საელჩოსთან საპროტესტო აქცია დაიწყო

**„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ გუშინ ვატიკანის საელჩოსთან სამდღიანი საპროტესტო აქცია დაიწყო.**

როგორც ინტერპრესნიუსს აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, დეკანოზმა დავით ისაკაძემ განუცხადა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქართველი ერი კათოლიკური სულიერი აგრესიის მიმართ პროტესტს გამოხატავს. „აქციის მოთხოვნაა დაუყოვნებლივ შეწყდეს ვატიკანის აგრესია საქართველოს სკოლებში, რაც „კათოლიკური დახმარების სამსახურის“ ეგიდით მიმდინარე პროგრამის - „ვაშენოთ მომავალის“ შეჩერებას გულისხმობს“, — აღნიშნა მან.

„მიუხედავად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის მიცემული პირობისა, რომ საქართველოს სკოლებში ეს პროგრამა შეწყდებოდა, კათოლიკური დახმარების სამსახურმა გააგრძელა პროექტი და 400 მოსწავლე ლიკანში, 200 კი თურქეთში ტრენინგზე გააგზავნა“, — აღნიშნა ისაკაძემ.

„მას შემდეგ რაც ალექსანდრე ლომაია განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გახდა, მან უფსკრულის პირამდე მიიყვანა მეცნიერებათა აკადემია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი მესამე დავალება კი, რომელიც სოროსისგან მიიღო, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევაა“, — აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბრისას მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოების“ ლიდერმა გურამ შარაძემ.

მისი განცხადებით, ალექსანდრე ლომაიამ „ვატიკანთან ხელშეკრულება გააფორმა, აიღო 5 მილიონი დოლარი და 400 ბავშვი გააგზავნა ლიკანში“.

„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ ვატიკანის საელჩოსთან ბრიფინგს ყოველდღიურად 13.00 საათზე გამართავს. გუშინდელ აქციას 300-მდე ადამიანი ესწრებოდა.

ინტერპრესნიუსი








## ღარიბი ქვეყნის ძვირი ცხოვრება

იხ. მე-3 გვ.

## „კატრინას“ შხეფები ქართულ რეალობაში?

## ელექტროენერგია და ხაზები სხვისია, ფული კი...

მსგავსი ვითარება ქმნის მონოპოლისტურ სისტემას, ხოლო ის, თავის მხრივ, გაუკონტროლებელ საქმიანობასა და განუკითხაობას განაპირობებს

იხ. მე-3 გვ.



## ეს ჩვენი თბილისია!

მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესია სამეფო სასახლის კარის ეკლესია იყო.

იხ. მე-4 გვ.



## ცრემლით განბანვა მირონით განბანვის ტოლფასია

იხ. მე-5 გვ.

ამ დღეებში მსოფლიოში აღიარებულ ფერმწერსა და მონუმენტალისტს, რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს ზურაბ წერეთელს „ლიტერატურისა და ხელოვნების უმაღლესი ოფიცრის“ წოდება მიანიჭეს.

## პოლიტიკური სკანდალი უკრაინაში მაკომპრომეტირებელი მასალების ომში გადადის



იხ. მე-6 გვ.

## გაშიფრული ნაწნავიანი ქალბატონი

### ◎ პანორამა

ცერცვი, ოსპი და მუხუდო იცავს ადამიანის ორგანიზმს კიბოსგან, დაადგინეს მეცნიერებმა. ეს პროდუქტები შეიცავენ ნატურალურ ნივთიერებას ინოზიტოლ პენტაკისფოსფატს, რომელიც აჩერებს სიმსივნეთა ზრდას. მეცნიერთა აზრით, ეს ნივთიერება, რომელიც არატოქსიკური აღმოჩნდა მაღალი კონცენტრაციის პირობებშიც კი, შეიძლება ასევე გამოვიყენოთ ქიმიათერაპიის ეფექტიანობის გადიდების მიზნით.

* * *

საღეისოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში გაუარესების ტენდენცია გამოიკვეთა. ვაშინგტონი აკრიტიკებს იმას, რასაც ამერიკის ოფიციალური პირები უწოდებენ მოსკოვის ავტორიტარიზმის გაძლიერებას. მოსკოვი კი, თავის მხრივ, უკმაყოფილოა იმით, რომ ამერიკელები ერევიან რუსეთის გავლენის ტრადიციულ ზონებში.

* * *

ბირთვული პროგრამების დემონტაჟის სანაცვლოდ ფხენიანი კვლავ მოითხოვს მისთვის ბირთვული რეაქტორის გადაცემას. პეკინის მოლაპარაკება, რომელზეც ამ მოთხოვნას განიხილავენ, ჩიხში მოექცა. ამერიკის დელეგაციის მეთაურმა დიდი დრო დახარჯა იმისთვის, რომ განემარტა, თუ რა დიდ ინვესტიციებს და დროს მოითხოვს ასეთი ობიექტის მშენებლობა. ამერიკის და ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლების შეხვედრა, რომელიც საათნახევარს გრძელდებოდა, უშედეგოდ დასრულდა.

* * *

20 წლის კოლონი სიმსი, ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ სპრინგჰილის ერთ-ერთი მაღაზიის თანამშრომელი, სამსახურიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ იგი გაეშურა ქარიშხლისგან თავისი ოჯახის წევრების გადასარჩენად. როგორც თვით კოლონი ამბობს, მაღაზიის ხელმძღვანელობამ იგი დაითხოვა სამსახურიდან რამდენიმე დღით, მაგრამ, როცა, ორი დღის შემდეგ დაბრუნდა, განუცხადეს, სამუშაოდან გათავისუფლებული ხარო.

### ◎ ინფორმაცია

## ზურაბ ნოღაიდელი აჭარაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გუშინ აჭარას ეწვია.

იგი ქაქუთის ხიდის პრეზენტაციას დაესწრო. ეს სწორედ ის ხიდია, რომელიც ასლან აბაშიძის დავალებით ჩოლოქის ხიდთან ერთადააფეთქეს.

აჭარა-გურიის დამაკავშირებელი ქაქუთის ხიდის სიგრძე 22 მეტრია, სიგანე — 8 მეტრი. რკინაბეტონის კონსტრუქციის ხიდის მშენებლობას სამი თვე დასჭირდა და იგი მთლიანად ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდა. თუმცა დახარჯული თანხის რაოდენობა არ სახელდება.

ხიდის პრეზენტაციას ასევე აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე და ქობულეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ხაბაზიც ესწრებოდნენ.

## პროკურორობას რა უნდა

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას „პროკურატურის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, გენერალურ პროკურორს, თბილისის პროკურორს და საოლქო პროკურორებს აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად უწყებაში მუშაობის 5-წლიანი სტაჟი აღარ მოეთხოვებათ.

როგორც კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, თბილისის პროკურორის და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების თანამდებობები ძირითადად პოლიტიკური და მენეჯერულია, ამიტომ შეზღუდვები უნდა მოიხსნას. ბეჟაშვილს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივა აბსოლუტურად გამართლებულია.

აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივას მხარი არ დაუჭირა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტმა. კომიტეტში მიიჩნევენ, რომ პროკურატურაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის პრეტენდენტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უწყებაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება.

## „თბილგაზის“ მომხმარებლების ნაწილს გაზმომარაგება დღეს აღუდგება

გაზსადენზე მიმდინარე რეკონსტრუქციის გამო „თბილგაზის“ მომხმარებლების ნაწილს. გაზის მიწოდება შეუწყდა.

გაზმომარაგების გარეშე დარჩნენ დიღმის მასივში, ნაძალადევის რაიონში — კ/თ „საქართველოდან“ ხუდადოვის ქუჩამდე — მცხოვრები აბონენტები, აგრეთვე მირცხულავას, წერეთლისა და სამტრედიის ქუჩების მობინადრენი.

„თბილგაზში“ აცხადებენ, რომ ამის მიზეზი სამტრედიის ქუჩაზე გამავალი გაზსადენის რეკონსტრუქცია გახდა. დღეს მომხმარებლებს გაზმომარაგება შეუფერხებლად აღუდგებათ.

ინტერპრესნიუსი

## ცხინვალის რეგიონში ქართველ სამშვიდობოთა რაოდენობას ზრდიან

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის რაოდენობა 90 ჯარისკაციდან 230-მდე გაიზარდა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში აცხადებენ, რომ ქართველი სამშვიდობოების რაოდენობის ზრდა კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვას არ უკავშირდება.

როგორც ქართული ბატალიონის სარდალმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა შერეულ სამშვიდობო ძალებში რუსული-ოსური და ქართული მხარეებისთვის 500-500-კაციანი კვოტაა გათვალისწინებული. ამდენად, ქართული მხარე თავის კვოტას ავსებს.

რამდენიმე თვის წინათ ქართულმა მხარემ კუთვნილი 500-კაციანი კვოტის მიუხედავად, სამშვიდობო ძალების რაოდენობა მინიმუმამდე — 90 ჯარისკაცამდე შეამცირა.

მედიანიუსი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 217. პარასკევი, 16 სექტემბერი, 2005 წელი.

ოპოზიცია

# მემარჯვენეებს ოპოზიციის, საზოგადოებისა და „ხელისუფლებაში დარჩენილი გონიერი ადამიანების" იმედი აქვთ

ბევრი ვეცადეთ, მაგრამ პრესკონფერენციის დაწყებამდე ვერ მოვახერხეთ გაგვეგო, რა საკითხზე აპირებდნენ საუბარს საპარლამენტო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წევრები. რაკი თემას არ გვიმჟღავნებდნენ, ვხვდებოდით, რაღაც ისეთი ჰქონდათ განზრახული, რითაც უნდა გავეოცებინეთ.

დავით გამყრელიძემ პრესკონფერენცია ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე საუბრით დაიწყო: სასამართლო ხელისუფლება პროკურატურის დაქვემდებარებაშია; მოქალაქეთა ქონება დაუცველია; ...



... 1991-1992 წლების ...

რუსუდან გახარია

მოსაზრება

# ეს ფილმი ჩემთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა

## ამბობს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე

— ქალბატონო ელენე, რას ეტყოდით პარლამენტში ბექაურის საქმესთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე?

— უმრავლესობის ფრაქციის სხდომაზე უკვე ვიმსჯელეთ და დღეს პარლამენტში ფრაქცია შემოვა მოტივაციით, თუ რა კომისია უნდა შეიქმნას. ეს იქნება კომისია, რომელიც შეისწავლის კობა ბექაურის საქმიანობას ტერმინალ „ოპიზასთან" დაკავშირებით. ვფიქრობ, დღეს კენჭს უყრიან ამ საკითხს. ალბათ, დადგება კომისიის შემადგენლობის საკითხიც.

**— მხოლოდ ბექაურის საკითხს გამოიძიებს კომისია, თუ როგორც დავით გამყრელიძე მოითხოვს, მიხეილ მაჭავარიანის ამ საქმეში მონაწილეობასაც შეისწავლის?**

— ამაზე ალბათ ვიმსჯელებთ. მგონია, რომ უფრო — ბექაურისა და „ოპიზას" საკითხს.

**— რას ფიქრობთ სტუდია „რეპორტიორის" მიერ მომზადებული ფილმის თაობაზე? ისევ აპირებთ თუ არა შეკითხვები დაუსვათ ბექაურს?**

— სხვათა შორის, ჩემი შეკითხვები საერთოდ არ უკავშირდებოდა ტერმინალს. აბსოლუტურად სხვა შეკითხვები მქონდა. სამწუხაროდ, ბექაური არ დაესწრო უმრავლესობის ფრაქციის სხდომას და კვლავ ვერ დავუსვი შეკითხვები.

სიმართლე გითხრათ, რაც ფილმში ვნახე, ჩემთვის სიახლე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო კობა ბექაურის 2004 და 2005 წლების დეკლარაციების ნახვა ...

**— რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ოპოზიციასა და პოზიციას შორის ასეთი უმწვავესი დაპირისპირება პარლამენტში?**

— ვფიქრობ, ყველაფერს წერტილი უნდა დაესვას. ჩემი აზრით, რაც ხდება, ყველაფერი წინასაარჩევნო ამბავს უკავშირდება. თუნდაც, შალვა რამიშვილის სახელით ხომ არ ხდება რაღაც სპეკულაცია და საზოგადოების თვალში ქულების მოპოვება?

მეც ვცდილობ, მრავალ პატიმარს შევუმსუბუქო მდგომარეობა, თუ უსამართლოდ ექცევიან, მაგრამ არ ვყვირი. მეც ვეხმარები დაკავებულ ადამიანებს. ყოველთვის, როცა ხმაური ატყდება, ეს მათ უფრო ავნებს, ვიდრე ეხმარება. ამას ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ.

რაც შეეხება ორივე მხარის მიერ ერთმანეთის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენებას, ეს არ არის მართებული. დეპუტატები ერთმანეთს ბრალდებებით არ უნდა ელაპარაკებოდნენ. მით უმეტეს, რომ წინა მოწვევის პარლამენტში ნინო ბურჯანაძის სპიკერობის დროს, როცა მას ძალზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, უმრავლესობამ ეს თემა ნინო ბურჯანაძის მიმართ საკმაოდ ბინძურად ააგორა. ამის გაგ...



**— მანიც ვინ სპეკულირებს ბექაური-რამიშვილის თემით?**

— ეს არის აჟიტირებული თემა და წინასაარჩევნო პერიოდში ყველა მხარე ცდილობს, იგი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამ დროს არავინ ფიქრობს, დაპატიმრებულს ეს ეხმარება თუ ვნებს. მე კი სულ იმაზე ვფიქრობ, რომ საქმე ისე გავაკეთოთ, სიმართლეც დავადგინოთ და ჩვენი პოლიტიკური განცხადებებით არ დავამძიმოთ ადამიანის მდგომარეობა.

**— თქვენ იქნებით საგამოძიებო კომისიის წევრი?**

— რომც შემომთავაზონ კომისიაში შესვლა, კატეგორიულ უარს განვაცხადებ, რადგან ბექაურის მხრიდან ჩემს მიმართ სასაცილო ბრალდებები წამოვიდა შვილის ბიზნესთან დაკავშირებით. მას სულ ვადარებ თარგამაძეს, ნარჩემაშვილს, ალავიძეს. ფაქტობრივად, ბექაური იგივეს აკეთებს. ვიღაცამ ტენდენციურობაში რომ არ ჩამომართვას, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვი კომისიაში შესვლაზე.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

აქტუალური თემა

# შეტევა, კონტრშეტევა და ბიზნესის მოყვარული პოლიტიკოსები

**საპარლამენტო კულუარებში წლის სკანდალად შერაცხულ რამიშვილ-ბექაურის საკითხზე „დებატები" გრძელდება.**

**მოგეხსენებათ, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან" დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება. კანონმდებლობაში განსაზღვრულია, რომ ამგვარ საგამოძიებო კომისიაში ოპოზიციის წევრები უმრავლესობის წევრებზე მეტი უნდა იყვნენ. კომისია ტერმინალ „ოპიზაში" ბექაურის ბიზნესინტერესებს გამოიკვლევს, შემდეგ კი მუშაობას ოპოზიციის ბიზნესინტერესებზე გააგრძელებს. მოკლედ, უმრავლესობა კონტრშეტევაზე გადადის და აქცენტს გამყრელიძე-იაშვილზე ამახვილებს.**

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გამყრელიძე-იაშვილს „ბუზსაც ვერ აუფრენენ", იმ მოტივით, რომ ისინი საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსები არიან, დიდი ხანია, ოპოზიციაში არიან და ძნელი დასაჯერებელია, რომ რამე წესრიგში არ ჰქონდეთ, ხოლო ის ბრალდება, რომ გამყრელიძის „ალდაგს" 90-იან წლებში ხელს ხელისუფლება უმართავდა, ექსპერტთა ნაწილს დღეს აქტუალურად არ მიაჩნია. ასეა თუ ისე, ამ ქექვა-ქექვაში კარგია, რომ დღის სინათლეზე გამოდის როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების ბიზნესი. საკანონმდებლო ორგანოში ამ დღეებში სიტყვა „ბიზნესი", პარლამენტარის ბიზნესინტერესები და ყიდვა-გაყიდვა აქტიურად გაისმის.

საინტერესო დეტალი: კულუარული ხმებით, პარლამენტში განსახილველად მზადდება კანონპროექტი დეპუტატისთვის ბიზნესსაქმიანობის დაშვების შესახებ. გასაკვირია, რომ ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის სათავეში მოვიდა ლოზუნგით, — ბიზნესი და პოლიტიკა უნდა გაიმიჯნოს, პარლამენტის წევრებს უნდა მოეხსნათ იმუნიტეტი და ისინი მხოლოდ საპარლამენტო საქმიანობით უნდა იყვნენ დაკავებულიო, ახლა დეპუტატებისათვის თურმე შეღავათებს აწესებს. ნორმალურ სახელმწიფოებში, ვისაც ქონება და ბიზნესი აქვს, ის ხალხი კი მიდის ხელისუფლებაში და პოლიტიკაში, მაგრამ როდესაც პარლამენტში, მთავრობაში ხარ და მერე იწყებ რაღაც ახალ-ახალ ბიზნესს, ეს წარმოუდგენელია. ასეთი რამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩვენთან არის დასაშვები.

იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ბრალდება დაუდასტურდება, ბექაური პარლამენტის დატოვებაზეც კი ლაპარაკობს. თუმცა, მისი ბრალეულობისა მის თანაგუნდელებს ნაკლებად სჯერათ.

**გიგა ბოკერია, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:** „ფილმში მოყვანილი ფაქტები არის მხოლოდ ბექაურის დეკლარაციიდან აღებული, რომელიც ისედაც ცნობილია. რა არის იქ გამოძიებული, ეს ჩემთვის უცნობია. უცნაურია, რომ ასეთი ფილმის გაკეთებას მრავალი თვე დასჭირდა. მიძლიერდება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი შანტაჟისთვის გამოიყენებოდა. რაც შეეხება უფრო სერიოზულ გამოძიებას: ხომ არ იქნა გამოყენებული ვინმეს მიერ საკუთარი თანამდებობა იმისათვის, რომ რომელიმე ბიზნესსუბიექტს ხელი შეწყობოდა, სადაც მისი ოჯახის წევრს წილი ჰქონდა, ამას კომისია გამოიძიებს.

დაველოდოთ.

მზია გელენავა

დღის შეკითხვა

# უნდა შეიქმნას თუ არა პარლამენტში საგანგებო კომისია, რომელიც დეპუტატთა უკანონო ბიზნესსაქმიანობებს გამოიძიებს?

**პარლამენტარ კობა ბექაურზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის („დეპუტატის ვალი") ეთერში გასვლის შემდეგ, დღის წესრიგში აქტიურად დადგა საკითხი პარლამენტში ისეთი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც დეპუტატთა ბურუსით მოსილ ბიზნესსაქმიანობებს მოჰფენს ნათელს.**

**ამ საკითხზე მოქალაქეთა აზრის გასაგებად „საქართველოს რესპუბლიკა" ქუჩაში გავიდა.**

**დავით ბაბუნია, პედაგოგი, პოეტი:** — აუცილებლად უნდა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რათა ხალხმა ნახოს, ემსახურებიან თუ არა დეპუტატები საზოგადოებას. ამ კომისიაში უმრავლესობა ოპოზიცია უნდა იყოს, თუმცა მაინც ეჭვი მეპარება, რომ სიმართლის გამორკვევა შეძლონ.

**ალექსანდრე დარახველიძე, ქორეოგრაფი:** — მარტო დეპუტატების უკანონო სამეწარმეო საქმიანობა კი არა, ისიც არის გამოსაძიებელი, თუ როგორ მოხვდნენ ასეთი ადამიანები პარლამენტში. ისინი ხალხს არ აურჩევია. პარტიებმა, ვისი სიითაც გავიდნენ, თითოეულ მათგანზე პასუხი უნდა აგონ.

**მოქალაქე, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა:** — საგამოძიებო კომისია აუცილებლად უნდა შეიქმნას, თან მის შემადგენლობაში არა მარტო პარლამენტარები, არამედ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც უნდა შედიოდნენ.

ძნელი სათქმელია, დაადგენს თუ არა კომისია ჭეშმარიტებას, მაგრამ ცდა მაინც საჭიროა.

**კონსტანტინე ბურჭულაძე, უმუშევარი:** — სულ არ მაინტერესებს პოლიტიკა, პარლამენტი და მათი რაღაც კომისიები. ეგენი მაინც ყველაფერს ისე წყვეტენ, როგორც უნდათ. მე ვარ ჩემი თავის კომისიაც და პარლამენტიც.

**მაყვალა ქურდაძე, გერმანისტი:** — სულ ერთია, შეიქმნება თუ არა ასეთი კომისია. ვფიქრობ, ის მაინც სუბიექტური იქნება და სიმართლეს ვერ ან არ გამოააშკარავებს. იმ შემთხვევაში, თუ ამ კომისიაში უმრავლესობა ოპოზიცია იქნება, კიდევ შეიძლება ჭეშმარიტების დადგენა.

ჯაბა ხუბუა,
ზურაბ მოდებაძე.

საქართველოს გავლით

# ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობა იზრდება

**საქართველოს გავლით ტრანსპორტირებული ნავთობის მოცულობა იზრდება. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ინფორმაციით, 2004 წელს ტრანსპორტირებულია 47,1 მილიონი ბარელი ნავთობი.**

ეს მაჩვენებელი 2003 წლის მონაცემს 1,1 მილიონი ბარელი ნავთობით აღემატება. უცვლელია ერთ ბარელი ნავთობის ტარიფი. 2003-2004 წლებში იგი 0,19-0,20 ცენტამდე მერყეობდა.

რაც შეეხება ტრანზიტიდან მიღებულ შემოსავლებს, 2004 წელს ამგვარმა შემოსავალმა 9,3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2003 წელს ეს მაჩვენებელი 8,7 მილიონი დოლარი იყო. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში კორპორაციის მიერ გადახდილია 2004 წელს 6,9 მილიონი დოლარი, ხოლო 2003 წელს — 6,6 მილიონი დოლარი.

ინტერპრესნიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვაშინგტონმა დაბლოკა „გაზპრომის" მიერ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესყიდვა

იური სიმონიანი,
„ნეზავისიმაია გაზეტა", 15 სექტემბერი.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

**ნიუ-იორკში, გაეროს 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამიტზე ყოფნის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეძლო სერიოზული ფინანსური პრობლემის გადაჭრაც. გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიის გახსნის წინ, სააკაშვილმა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან კონდოლიზა რაისთან ერთად მონაწილეობა მიიღო დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონიაში, რომლის თანახმადაც, ვაშინგტონი თავის სამხრეთკავკასიელ სტრატეგიულ პარტნიორს უსასყიდლოდ გამოუყოფს 295 მილიონ დოლარს. ამით შეერთებულმა შტატებმა წერტილი დაუსვა კამათს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის შესახებ, რომლის მეშვეობითაც, რუსეთიდან გაზი მიეწოდება საქართველოს და სომხეთს. გამოყოფილი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მილსადენის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯება, დანარჩენი კი მოხმარდება თანამედროვე ავტომაგისტრალის მშენებლობას ჯავახეთში — სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში, აგრეთვე, ელექტროენერგეტიკის და სოფლის მეურნეობის ობიექტების განვითარებას.**



მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზების იდეა პირველად ამ რამდენიმე თვის წინ გამოთქვა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძემ. ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა მან დაასაბუთა იმით, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტს არ ჰქონდა სახსრები. „ჩვენ განვიცდით დიდ ზარალს გაზის იმპორტის დროს, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისთვის საჭირო ფული კი, უბრალოდ, არ გვაქვს", — თქვა ბენდუქიძემ. ამ ობიექტის პრივატიზაციის ნომერ პირველი პრეტენდენტი იყო რუსეთის „გაზპრომი", რომლის ხელმძღვანელობამაც დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ გარიგების მიმართ და ის თანხაც კი დაასახელა, რომელიც მზად იყო დაებანდებინა — დაახლოებით 150 მილიონი დოლარი. წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც, რომელმაც განაცხადა, რომ ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავს იმაში, თუ გაზსადენს დაეპატრონება რუსეთის კომპანია. „გაზს ჩვენ ხომ მაინც რუსეთიდან ვიღებთ, მის მოწოდებას უზრუნველყოფს „გაზპრომი", და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებაზე არანაირად არ აისახება ის, თუ კონკრეტულად ვინ იქნება ამ მაგისტრალის მფლობელი. რუსები თუ მოისურვებენ გაზის გადაკეტვას, ამას თავიანთ ტერიტორიაზეც გააკეთებენ, — აღნიშნა მან.

და მაინც, პრივატიზაციას გაცილებით მეტი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. „გაზპრომთან" შესაძლო გარიგების წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც არაორაზროვნად მიანიშნა საქართველოს ხელმძღვანელობას, რომ დაუშვებელი იყო ნებისმიერი ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც ოდნავ მაინც მოახდენდა გავლენას კასპიის ენერგოშემცველების დასავლეთისკენ ტრანსპორტირების პროექტის ეფექტიანობაზე. ვაშინგტონმა დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ მზად იყო, გამოეყო გაზსადენის რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრები, თუ იგი საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩებოდა.

თუმცა, ნიუ-იორკში ხელმოწერილ დოკუმენტში, ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. იქ მხოლოდ ხაზგასმულია, რომ თბილისი ამ გრანტს იღებს საკონკურსო საფუძველზე შეერთებული შტატების სამთავრობო პროგრამის „ათასწლეულის გამოწვევის" ფარგლებში. საქართველო ასე დააჯილდოვეს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში და თავისუფალი ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისთვის. როგორც სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, ამ თანხის გამოყოფა გახდა ამერიკა-საქართველოს ენერგიული პარტნიორობის კონკრეტული გამოხატულება. ამასთან, მან თქვა, რომ „გაიზრდება საქართველოსთვის ფინანსური დახმარება". საპასუხო სიტყვაში სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა ვაშინგტონს საქართველოს დემოკრატიის მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატებისგან ასეთი მნიშვნელოვანი სახსრები არ მიუღია არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას.

ინფორმაცია

# კოტე კემულარიას უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებენ

**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭო იუსტიციის მინისტრს კოტე კემულარიას „თავხედური და უპასუხისმგებლო განცხადებების" გაკეთებაში ადანაშაულებს.**

**აღნიშნული განცხადება მონიტორინგის საბჭოს წევრებმა გუშინ კოტე კემულარიას საპასუხოდ გააკეთეს.**

**მინისტრის თქმით, მონიტორინგის საბჭოს წევრები ზემოქმედებდნენ კომისიაზე, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელი პატიმარი დარჩება ციხეში და რომელი საჭიროებს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანას.**

**სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს ხელმძღვანელის თეა თუთბერიძის თქმით, მინისტრის ეს განცხადება აბსურდულია. საბჭო კემულარიასგან კატეგორიულად მოითხოვს იმ ადამიანების დასახელებას, რომელიც კომისიის წევრებზე ზემოქმედებასა და გავლენას ახდენენ.**

# პროტესტის ნიშნად გადადგა

**იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი რამაზ ღულაძე დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. ღულაძე პოსტიდან პროტესტის ნიშნად წავიდა.**

**„მაშინ, როდესაც იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შოთა კოპაძე მართავს, ხოლო გენერალურ ინსპექციას ირაკლი ფანცხავა ხელმძღვანელობს, ამ სისტემაში დარჩენას და რაიმეს კარგისკენ შეცვლის მცდელობას აზრი არა აქვს", — განაცხადა ღულაძემ გუშინ სახალხო დამცველის ოფისში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.**

**მისი მტკიცებით, პენიტენციურ სისტემაში ეფექტიანი მუშაობა შეუძლებელია. იგი ამის მაგალითად 11 სექტემბერს მომხდარ ფაქტს ასახელებს, როდესაც გენერალური ინსპექციის გადაწყვეტილებით ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან პატიმრები ციხის საპყრობილეებში გადაიყვანეს.**

**ღულაძის განცხადებით, იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, არცერთი ჯანმრთელი პატიმარი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში არ მოხვედრილა.**

**როგორც ღულაძე აცხადებს, ჯანმრთელი პატიმრები ციხის საავადმყოფოში იმ 4-პროცენტიანი კვოტის ფარგლებში ხვდებიან, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ეკუთვნის და რომელსაც შოთა კოპაძე თავისი მოსაზრებების მიხედვით განსაზღვრავს.**

**ღულაძის განცხადებით, მას ეგონა, იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია 11 სექტემბრის მოვლენებს მკაცრ შეფასებას მისცემდა და რეაგირებას მოახდენდა, მაგრამ კემულარიამ გენერალური ინსპექციის პოზიცია დაიჭირა.**

# ხელჩართული ჩხუბი კერესელიძის ქუჩაზე



**თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის ყოფილი ბატალიონის ოჯახის წევრების მიერ კერესელიძის ქუჩაზე გამართული აქცია გუშინვე დაიშალა.**

**აქციის მონაწილეებთან შესახვედრად არც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები და არც სავაჭრო ცენტრ „მეგალაინის" ხელმძღვანელობა არ მისულა.**

**თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის ყოფილი ბატალიონის ოჯახის წევრებმა გუშინ კერესელიძის ქუჩა გადაკეტეს, რასაც აქციის მონაწილეებსა და მძღოლებს შორის ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა.**

**აქციის მონაწილეთა განცხადებით, ტერიტორია, სადაც ისინი ცხოვრობენ, ფირმა „მეგარონმა" თავდაცვის სამინისტროსგან 2002 ნოემბერში იყიდა. ტერიტორიაზე ამჟამად სავაჭრო ცენტრი „მეგალაინია" განთავსებული.**

**ამ წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის ბატალიონის 13 წევრის ოჯახები ნახევრად დანგრეულ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ და ფართით არც თავდაცვის სამინისტროს და არც „მეგალაინის" ხელმძღვანელობას არ დაუკმაყოფილებია. რამდენიმე დღის წინათ კი გაირკვა, რომ 13-ვე ოჯახმა საერთო საცხოვრებელიც უნდა დატოვოს.**

ინტერპრესნიუსი

გვწერენ

# აბიტურიენტთა წარმატება, უპირველესად, მათი პედაგოგების წარმატებაა

**ფირმა „ჩაღლარის" სასწავლო დაწესებულებების (თბილისის დემირელის სახელობის კერძო კოლეჯისა და ბათუმის რ. შაჰინის სახელობის ლიცეუმის) მშობელთა კომიტეტი კმაყოფილებას გამოთქვამს ერთიან ეროვნულ გამოცდებში XI-კლასელთა მიღწეული შედეგების გამო.**

მშობელთა კომიტეტი ულოცავს თითოეულ მოსწავლეს მიღწეულ წარმატებას და იზიარებს მათ დიდ სიხარულს!

აბიტურიენტების წარმატება, უპირველეს ყოვლისა, მათი პედაგოგების წარმატებაა. გვინდა, ხმამაღლა გამოვხატოთ მადლიერების გრძნობა, მადლობის სიტყვები ვუთხრათ კოლეჯისა და ლიცეუმის დირექციებს, თითოეულ მასწავლებელს, გაწეული შრომისათვის.

მშობელთა კომიტეტი

ერიჰა!

# პრეზენტაცია თვალებში ნაცრის შესაყრელად!

**არცოდნა ყოველთვის როდია არცოდვა. რაც არ უნდა ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო მინისტრი, იმდენი მაინც უნდა გესმოდეს, რომ საერთაშორისო აეროპორტის მაკეტი კონკურსში „გასამარჯვებლად" წარსადგენი პროექტის საწყისი ეტაპია. უფრო მეტიც, კომპეტენტური ჟიურის მიერ განსახილველი გლობალური პროექტის ერთი დეტალია და, ამდენად, წარმოუდგენელია ამა თუ იმ დეტალის პრეზენტაციაზე წარდგენა.**

სამიოდე თვის წინათ მაშინდელმა ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა მოაწყო კონკურსში მონაწილე სამი კომპანიის მაკეტების „პრეზენტაცია".

მერე ეს კონკურსი ჩაიშალა, — „ჩელებიმ" დროზე ვერ წარმოადგინა ფინანსური გარანტიები!

გუშინ ახალმა მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ შეგვაყარა თვალებში ნაცარი **— თურქული კომპანიების „ტავის" და „ურბანის" მაკეტის პრეზენტაცია უფრო მოგვიანებით უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ საკითხზე ქვეყანაში ატეხილი აჟიოტაჟის და არასერიოზული განცხადებების გამო, მისი პრეზენტაცია დროზე ადრე გადავწყვიტეთო!**

ბატონო მინისტრო, თუ აჟიოტაჟი და არასერიოზული განცხადებები გაწუხებდათ, წინამორბედთა ძველ შეცდომებს ახალი კი არ უნდა დაუმატოთ, აჟიოტაჟის და „არასერიოზული" განცხადებების საფუძვლებს უნდა ჩაწვდეთ და კომპეტენტურ ხალხს რჩევა ჰკითხოთ.

საქართველო აღიარებულ არქიტექტორთა, საერთაშორისო კონკურსებში მრავალგზის გამარჯვებულ ხუროთმოძღვართა ქვეყანაა და მიუტევებელი შეცდომაა, მათი აზრი არ გაითვალისწინოს მინისტრმა, აეროპორტის ხელმძღვანელობამ და თვით პრეზიდენტმაც კი. გასაგებია, რომ პრეზიდენტს ეჩქარება ახალი კომფორტული, ლამაზი, დახვეწილი საერთაშორისო აეროპორტის აშენება, მაგრამ ეს იმის უფლებას როდი გვაძლევს, უცნობი ავტორის და საეჭვო ღირებულების მქონე მაკეტის რაღაც დეტალი (თუნდაც „შადრევნებიანი") ვაჩვენოთ მას და შეცდომაში შევიყვანოთ.

ქართველ არქიტექტორთა დაკვირვებით, მაკეტი (მაკეტები), რომლებიც თქვენ ჟურნალისტებს და საზოგადოებას წარუდგინეთ, არქიტექტურის ფაკულტეტის მესამე-მეოთხე კურსის საშუალო დონის სტუდენტის ნამუშევარს ჰგავს, მაგრამ ესეც არ არის მთავარი.

მთავარზე მთავარია საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების წესების უგულებელყოფა და უცნობი ავტორის ნახევარფაბრიკატით მშენებლობის უფლების მოპოვების სურვილი.

ანბანური ჭეშმარიტებაა — მაკეტი უნდა დაიხვეწოს, პროექტად იქცეს, კომპეტენტურმა ჟიურიმ ესა თუ ის პროექტი ფარული კენჭისყრით გამარჯვებულად აღიაროს, მერე მისი ავტორი (ავტორები) გააცნოს ხალხს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს მშენებლობა!

რა არის ამაში გაუგებარი და მიუღებელი? ოღონდ „საქართველოს რესპუბლიკაში" ბოლო ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში პროფესიონალ არქიტექტორთა მრავალი წერილი გამოქვეყნდა. რომელიმე მინისტრს ეს წერილები დაკვირვებით რომ წაეკითხა, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, აეროპორტის ხელმძღვანელობა, კერძო გარიგებით და მოგებით დაინტერესებული ჯერჯერობით უცნობი ჯგუფები ასეთი დილემის წინაშე არ დადგებოდნენ.

თუმცაღა, დადგნენ კი? — ვინ გიგდებს ყურს.

ახლა, გინდ მართკუთხა იყოს აეროპორტი, გინდ — შემინული, გინდ მერცხალივით ფრთებგაშლილი, — ის უკანონოდ, უპროექტოდ, ნაჩქარევად შენდება და... ადრე თუ გვიან, კიდევ ერთ უსახურ ნაგებობად შეემატება ქალაქს.

სპეციალისტები იმასაც ამბობენ, ეს საქმე, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად მივა სასამართლომდეო! ესღა გვაკლდა...

სპარტაკ ქოჩულია

⊙ ღლევანდელობა

# ღარიბი ქვეყნის ძვირი ცხოვრება

## „კატრინას“ შხეფები ქართულ რეალობაში?

**ქართველები იმით მაინც ვართ ბედნიერი, რომ „კატრინას“ დარი გამანადგურებელი ქარიშხლები სათოფეზეც ვერ გვეკარება (თუმცა წყალდიდობები და მეწყერები არ გვაკლია) რისი უდაო მიზეზიც ჩვენი შესაშური გეოგრაფიული მდებარეობის კვალად ღვთის მოწყალე ნებაცაა.**

მაგრამ, რად გინდა!

თურმე ჩვენი უბედურებისა და გაჭირვებისათვის იგივე „კატრინას“ ოკეანისგაღმა თარეშიც საკმარისი ყოფილა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფალნი ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე ფასების განუხრელ ზრდას სწორედ იმ ქარიშხალს აბრალებენ, რომელმაც უკვე ძირამდე მოსრა ახალი ორლეანი (აშშ) და რომელმაც სპარსეთის ყურეში ენერგომატარებლების პარალიზება, შესაბამისად კი ბარელ ნავთობზე ფასის ავარდნა გამოიწვია.

ქართულ ბაზარზე ფასებთან დაკავშირებით მომხდარ ცვლილებებს ქრონოლოგიურად გავყვები და რადგან ამ პროცესს სხვა წინმსწრები პრობლემაც ერთვის, საუბარს უფრო ადრინდელი ფაქტით დავიწყებ.

„ქალბატონ „კატრინას“ აშშ-სთვის ავი თვალი ჯერაც არ დაედგა, როცა საქართველოში სარკინიგზო მატარებლებით სარგებლობის საფასური, გაზრდას ვინ ჩივის, ერთბაშად გაორმაგდა, რამაც მომხმარებლებში, (უბრალო მოქალაქეებში) შესაბამისი რეაქცია – პროტესტი და უკმაყოფილება გამოიწვია.

შედარებით ლოგიკური იყო მგზავრობის საფასურის გაზრდა ბათუმის მატარებელზე, ვინაიდან იგი მთავრობამ უკრაინაში გაარემონტა და ვაგონების კლასი და კომფორტი საგრძნობლად გაზარდა, მაგრამ მოსახლეობისთვის სრულებით გაუგებარი დარჩა, რატომ გაიზარდა მგზავრობის ფასი თუნდაც ოზურგეთის, ფოთის, ზუგდიდისა და სხვა მატარებლებზე, სადაც სამგზავრო პირობები ისეთივე უბადრუკი დარჩა, როგორიც იყო.

მატარებლებზე ფასების გაზრდამ, ისედაც ჯიბესუსტი მოქალაქეების კიდევ უფრო გაღარიბების გარდა, სხვა პრობლემებიც გამოიწვია, რომელიც ყურადღების მიღმა დასატოვებელი ნამდვილად არ არის.



საქმე ის არის, რომ ფასი მხოლოდ კუპირებული ვაგონების ბილეთებზე გაიზარდა, პლაცკარტულზე კი იგივე დარჩა. შესაბამისად, მოქალაქეთა უმრავლესობა, ვისაც 7-დან 14 ლარამდე გაძვირებული კუპის საფასურის გადახდა არ ძალუძს, პლაცკარტის ბილეთებს მიეძალა და სწორედ ამ უკანასკნელის მოსაპოვებლად არის გამართული ხოცვა-ჟლეტა სარკინიგზო სალაროებთან.

საქართველოს რკინიგზის სისტემა პოსტსაბჭოურ ეპოქაში მგზავრთა უზადო მომსახურებით ისედაც ვერ დაიკვეხნიდა, ბილეთებზე ფასების გაზრდის შემდეგ კი სალაროსთან გამართულ ერთობ გრძელ რიგებში აყალმაყალსა და ხმამაღალ, არაკორექტულ საუბრებს ძალზედ ხშირად წააწყდებით.

გვახსოვს: მაშინ სარკინიგზო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ პირობა დადო, ფასების ზრდა დროებითია და მას მალე მოსახლეობისათვის ხელსაყრელ დონეზე „დავარეგულირებთო“. მას მერე კარგა ხანია გასული, მაგრამ რკინიგზით მგზავრობის გაზრდილი საფასური კვლავაც უცვლელია.

აშშ-ში ქარიშხალ „კატრინას“ გამძვინვარების შემდეგ უპირველესი, რაზეც საქართველოში ფასი გაიზარდა, ბენზინი გახლავთ. თან მატება ერთობ დიდია.

ასე გასინჯეთ, ერთლარიანი რეგულარის ფასი, რომელსაც საქართველოში მძღოლთა უმრავლესობა ხელმოკლეობის გამო მოიხმარს, 1,55-1,60 თეთრი გახდა, რაც, გარდა იმისა, რომ პირდაპირ ურტყამს ავტომფლობელთა ჯიბეს, ფინანსურ ზარალს იმ მოქალაქეებსაც უქადის, ვისაც საკუთარი ავტომანქანა არ გააჩნია.

მიზეზი მარტივია: საწვავზე ფასების გაზრდა თავისთავად ქმნის სამარშრუტო ტრანსპორტით სარგებლობის ღირებულების გაზრდის საფრთხეს, რაც ჩვენს დედაქალაქში, საბედნიეროდ, ჯერ არ შეიმჩნევა, მაგრამ თქვენს მონა-მორჩილს აქვს სანდო ინფორმაცია, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მგზავრთა გადაადგილების საზღაური დაახლოებით ორმოცდაათი თეთრით გაიზარდა.

კიდევ ერთი ტენდენცია: თუ ხელისუფალთა და ექსპერტთა პროგნოზებს ვერწმუნებით, ზამთრის პერიოდში დედაქალაქში ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფის გაზრდაა მოსალოდნელი, რამაც თბილისის მოსახლეობა ერთობ დააფრთხო და ზამთრის გათბობისათვის შეშის მომარაგებას აქედანვე შეუდგა. რამაც საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნილება შეშასა და შეშის ღუმელებზე.

ხე-ტყის ბიზნესის „მამებმა“ კი, რა თქმა უნდა, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და შესაბამისად კუბური მეტრი შეშის ღირებულებამ 300 ლარს მიაღწია, რაც 28 ლარიანი პენსიის ქვეყანაში, დაგვეთანხმებით, კოლოსალური ციფრია და ამასთანავე – ზამთარში ხელმოკლე ოჯახების გათოშვის ერთობ გაზრდილი შანსიც.

ერთადერთი, რაზეც ჩვენში, ჯერჯერობით ფასი არ გაზრდილა, „პური ჩვენი არსობისა“ გახლავთ, თუმცა კვების სხვა პროდუქტებზე ფასების 40 პროცენტ ზრდას თუ გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის ღარიბ მოსახლეობას (როგორც ჩვენში, სამწუხაროდ, უმრავლესობა) ხმელა პურის ჭამა მოუწიოს.

დაბოლოს, დამოუკიდებელი ეკონომიკური ექსპერტები, რომლებსაც ჩვენში საკმაოდ წონადი სიტყვა ეთქმით, თამამად ირწმუნებიან, რომ საქართველოში საწვავსა და პროდუქტებზე ფასების ზრდა არანაირად არ არის პირდაპირ დაკავშირებული ქარიშხალ „კატრინასა“ და საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის გაძვირებასთან.

ფასები ხელოვნურად არის გაზრდილი დიდი მოგების უკანონოდ მისაღებადო, ირწმუნებიან ექსპერტები.

ვერ გეტყვით, რომელი მხარეა მართალი, ხელისუფლება თუ ექსპერტთა ჯგუფი, მაგრამ ერთს კი დავასკვნი:

არარსებული მიზეზებით გაჭირვებული მოსახლეობის ყოფის კიდევ უფრო დამძიმება და ამაზე ხელის მოთბობა ერთობ უღირსი საქმე გახლავთ, რაც არავის ეკადრება (და არ უნდა ეპატიოს).

**ჯაბა ხუბუა**

⊙ ინფორმაცია

### ნებით თუ იძულებით?

**საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი დაუჭირა.**

**პარლამენტის მიერ აღნიშნული დადგენილების დამტკიცების შემდეგ ლოტბერ კუპატაძე, იური ტაბუცაძე, გიორგი ქოიავა და ლენგერ ბოჭორიშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრები აღარ იქნებიან.**

**როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა განაცხადა, უზენაეს სასამართლოში რეორგანიზაცია განხორციელდა, რომლის მიხედვითაც სასამართლოს პირველი ინსტანციის საქმეების განხილვის უფლება ჩამოერთვა. აღნიშნული მოსამართლეები სწორედ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეები იყვნენ და ამიტომ, საქართველოს პარლამენტისგან უფლებამოსილების შეწყვეტა საკუთარი განცხადების საფუძველზე ითხოვეს.**

**როგორც ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლების“ წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნა, თავად ის ფაქტი, რომ მოსამართლეები პოსტებს საკუთარი განცხადებების საფუძველზე ტოვებენ, გარკვეულ ეჭვებს ბადებს. ოპოზიციონერთა მოსაზრებით, მოსამართლეებს თანამდებობების დატოვებას ხელისუფლება აიძულებს.**

**ლოტბერ კუპატაძე, იური ტაბუცაძე, გიორგი ქოიავა და ლენგერ ბოჭორიშვილი გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომას უნდა დასწრებოდნენ, თუმცა, საკანონმდებლო ორგანოში არ გამოცხადდნენ.**

### პატიმრის მდგომარეობა კვლავ მძიმეა

**ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანილი პატიმრის ნუგზარ ქსოვრელის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში სპეციალიზირებული მკურნალობის კურსის ჩასატარებლად გადაყვანილი ქსოვრელის მდგომარეობას მედიკოსები სტაბილურად მძიმედ აფასებენ.**

**რეანიმაციული განყოფილების ექიმების ინფორმაციით, პაციენტს მკურნალობა ეგრეთ წოდებულ აღმავალ ინფექციაზე – პოლი მიელო რადიკულო ნევრიტზე დაენიშნა. ქსოვრელი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ხელოვნურ სასუნთქ აპარატზეა მიერთებული.**

**როგორც საავადმყოფოში აცხადებენ, ავადმყოფს კიდურების სრული პლეგია (პარალიზება) აღენიშნებოდა, სამკურნალო კურსის შედეგად ქვედა კიდურებზე გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა.**

**ექიმების განმარტებით, მკურნალობა კომპლექსური მეთოდოლოგიით წარმოებს – მას კომპლექსური ინფუზიური და ანტიბაქტერიული მკურნალობა უტარდება. საბოლოო დიაგნოზის დასმამდე ექიმებს, სავარაუდოდ, ერთი კვირა დასჭირდებათ.**

**ნუგზარ ქსოვრელი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუცლის ტკივილით 25 ივლისს № 1 საპყრობილიდან შეიყვანეს. მდგომარეობა მას ერთი თვის წინ გაურთულდა. რესპუბლიკურ საავადმყოფოში აცხადებენ, რომ დაავადება გადამდები არ არის.**

### პარლამენტარი კახა ოქრიაშვილი „წამლის სააგენტოს“ დირექტორს დაუპირისპირდა

**როგორც გუშინ პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ოქრიაშვილმა განაცხადა, ტურვილაძეს „წამლის სააგენტო“ „პრივატიზებული აქვს და მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, მოხდება თუ არა სააგენტოში ამა თუ იმ პრეპერატის რეგისტრაციის განხორციელებაო“.**

**– რეგისტრაციის პროცედურა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, ტურვილაძე დილით მარჯვენა ფეხზე ადგება, თუ მარცხენა ფეხზე, – აღნიშნა ოქრიაშვილმა.**

**ეს განცხადება დეპუტატმა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტის განხილვის დროს გააკეთა.**

**„წამლის სააგენტოს“ წარმომადგენლები ითხოვდნენ, რომ პრეპერატების მწარმოებლებისგან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის უფლება კანონით მინიჭებოდათ. თუმცა, ოქრიაშვილი ამის წინააღმდეგ გამოვიდა.**

### „მწვანე ალტერნატივა“ მოითხოვს

**გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“ კვლავ ყურადღებას ამახვილებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტთან დაკავშირებულ პრობლემებზე.**

**ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების მოახლოებასთან დაკავშირებით „მწვანე ალტერნატივის“ წევრები დღეს სპეციალურ პრესკონფერენციას გამართავენ. პრესკონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ აზერბაიჯანის, თურქეთისა და ევროპის იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ნავთობსადენის პროექტის მონიტორინგს აწარმოებდნენ.**

**მიუხედავად იმისა, რომ ნავთობსადენის მშენებლობა, ფაქტობრივად, დასრულებულია, არასამთავრობო ორგანიზაციები კვლავაც აცხადებენ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით დასმული კითხვები კვლავაც ძალაში რჩება.**

**„მშენებლობისას დაშვებული ტექნოლოგიური შეცდომები აუცილებლად იჩენენ თავს ნავთობსადენის ოპერირებისას, რაც კატასტროფულ შედეგებამდე მიგვიყვანს. კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში მილების შედუღების ადგილის საფარად შესაფუთი მასალის – შზჩ 2888-ის გამოყენება, ნავთობსადენის გასკდომის და ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, წარმოადგენს „ბრითიშ პეტროლიუმის“ პოტენციური პასუხისმგებლობის საკითხს“, – ირწმუნებიან არასამთავრობოები, რომელთა განცხადებითაც, მსოფლიოში პოლიეთილენით დაფარულ არცერთ ნავთობსადენზე არ გამოყენებულა საფარი – შზჩ 2888.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ რა ხდება?

# ელექტროენერგია და ხაზები სხვისია, ფული კი...

## მსგავსი ვითარება ქმნის მონოპოლისტურ სისტემას, ხოლო ის, თავის მხრივ, გაუკონტროლებელ საქმიანობასა და განუკითხაობას განაპირობებს

**საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებთან ერთად, ქვეყნის ყველა მოქალაქეს შრომისა და საცხოვრისის უფლებაც აქვს. შრომასა და ნორმალურად ცხოვრებას კი გარკვეული პირობები სჭირდება, რაც XXI საუკუნეში ელექტროენერგიით მომარაგებასაც გულისხმობს... ერთი თვის წინათ, წერილში „უმისამართო“ ადგილის ენერგოგასაჭირი“ გიამბეთ საქართველოს რკინიგზის სადგურ ველის მცხოვრებთა და მეწარმეთა პრობლემებზე, რომელთა შორის მთავარია ელექტროენერგიით მომარაგება. ამ დასახლების საწარმოთა და მცხოვრებთა ნაწილს ელექტროენერგია ერთ წელიწადზე მეტი ხანია არ მიეწოდება. ამის თაობაზე ველელებმა მრავალი ორგანიზაციას მიმართეს, კერძოდ, თბილისის მერს, საქართველოს ომბუდსმენს, ისანი-სამგორის გამგებელს, სს „თელასის“ ხელმძღვანელობას, გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას, სს „საქართველოს რკინიგზას“, ენერგეტიკის სამინისტროს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარესაც კი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ველელებმა მრავალი არაერთგვაროვანი პასუხი მიიღეს: ენერგეტიკის სამინისტრომ, ფაქტობრივად, ხელები დაიბანა, სს „თელასმა“ ელექტროენერგიის მიწოდებაზე საერთოდ უარი განაცხადა, გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ ველელები პასუხის ღირსადაც არ გახადა და, შესაბამისად, საქმე ადგილიდან იოტისოდენადაც არ დაძრულა...**

ცოტა ხნის წინათ ველელებს იმის იმედი მაინც ჰქონდათ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეზოლუციით „გთხოვთ შეისწავლოთ“ (09.07.05 № 25/2002) წერილს ენერგეტიკის სამინისტრო გამოეხმაურებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ენერგეტიკის სამინისტროში საკითხის განხილვა ერთხელ კი დანიშნეს, თუმცა ის გარკვეული მიზეზით გადაიდო, ხოლო ველელებს დაპირდნენ, რომ ერთ კვირაში (დაახლოებით ივლისის მეორე ნახევარში) სხდომას ხელახლა დანიშნავდნენ, მაგრამ მას შემდეგ აგერ თვენახევარი გავიდა, ეს საკითხი კი კვლავ „ჰაერშია გამოკიდებული“. არადა ველელთა პრობლემის გადაწყვეტა დიდი დაძაბვის გარეშე იქნებოდა შესაძლებელი, თუკი საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია სს „საქართველოს რკინიგზას“ დისტრიბუციის უფლებას აღუდგენდა, რის თაობაზე, ჩვენი ინფორმაციით, სს „საქართველოს რკინიგზამ“ მიმართა კიდეც სემეკს, მაგრამ, ამჯერად გაურკვეველ მიზეზთა გამო, იგი ამის თაობაზე პასუხს არ იძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია სარგებლობს რა წლების მანძილზე სს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტროგადაცემის ხაზებით, ამისთვის კანონით გათვალისწინებულ საიჯარო გადასახადს არ იხდის. ყოველივე აღნიშნულის თაობაზე საქმის ვითარების შესახებ ინფორმირებულნი არიან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში, რომელიც ასევე დუმილს ამჯობინებს, რის მიზეზიც აგრეთვე სრულიად გაუგებარია.



ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია უცხოური კომპანიის ხელშია და, შესაბამისად, საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგებასაც საკუთარი ნებასურვილით განკარგავს. ეს კი ის მოგებაა, რომელიც სს „საქართველოს რკინიგზას“ თავად უნდა მიეღო და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტშიც თანხები გადაეხადა. ფაქტობრივად, საკითხი ასე დგას: ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ენერგოგენერაცია, ელექტროგადაცემის ხაზები ეკუთვნის სს „საქართველოს რკინიგზას“, ასევე მომსახურებაც „მის კისერზეა“, ხოლო მომხმარებლის მიერ გადახდილი ფული გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას ისე მიაქვს, რომ ტრანზიტის ფულსაც არ იხდის.

საინტერესოა ამასთან დაკავშირებით ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია, რომელიც ენერგოსექტორში სახელმწიფო პოლიტიკის უპირველესი გამტარებელია: განა ასეთი ვითარება სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო არ არის?

და კიდევ ერთი. ისევე, როგორც სხვას, ჩვენც, ცხადია, დიდად გვაინტერესებს, რატომ არ არის დაინტერესებული ენერგეტიკის სამინისტრო იმით, რომ სს „საქართველოს რკინიგზამ“ ელექტროენერგიის დისტრიბუციის უფლება აღიდგინოს? ანდა რატომ არ იჩენს სათანადო პრინციპულობას ამ საკითხში სს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა?

**ოთარ ტურაბელიძე**

⊙ თბილისი

# დედაქალაქს ახალი, ერთიანი ზედამხედველობის სამსახური აქვს

**14 სექტემბერს გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც თბილისში არსებული ზოგიერთი მაკონტროლებელი ორგანოს ლიკვიდაციას და მათ ერთ საქალაქო სამსახურში თავმოყრას ეხებოდა.** მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, მაკონტროლებელი ორგანოების ერთ საქალაქო სამსახურში გაერთიანება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რადგან ასე უფრო ადვილია ადმინისტრირება და პრობლემების მოგვარება. მეორეს მხრივ, ეს ოპტიმალურია, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო არ არის ისე მდიდარი, რომ ცალ-ცალკე ინახოს რამდენიმე მაკონტროლებელი ფუნქციის მომიჯნავე სამსახური. ეს გადაწყვეტილება ეტაპობრივად მზადდებოდა.

ამის შემდეგ ქალაქის მერმა ახალი სამსახურის თანამშრომლებს თავიანთი მოვალეობა შეახსენა და წარმატებები უსურვა პროფესიულ საქმიანობაში, თანაც დასძინა, ზედამხედველობის სამსახურის მუშაკებს ქალაქის მერზე გაცილებით უკეთესი სამუშაო პირობები აქვთო. მერმა ფეხზე ადგომა სთხოვა სპეციალურ ფორმიან თანამშრომლებს და მათი ჩაცმულობა მოიწონა. ბოლოს გიგი უგულავამ ერთიანი ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლაშა მაქაცარია წარადგინა, რომელსაც დიდი ნდობა გამოუცხადა და სთქვა, რომ ეს არის ძალიან კვალიფიციური კადრი. წასვლისას მერი დაგვპირდა, მომავალი წლისთვის ეს სამსახური პრესტიჟული გახდებაო.

მერის წაბრძანების შემდეგ ლაშა მაქაცარიამ ჟურნალისტები თავის კაბინეტში გვიხმო სასაუბროდ. მისი თქმით, მაკონტროლებელი ორგანოების გაერთიანებაში 120 კაცი მუშაობს. თანამშრომლები შერჩეულნი არიან მომიჯნავე სამსახურებიდან მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. ეს ადამიანები იზრუნებენ, რათა ქალაქში აღარ იყოს ანტისანიტარული მდგომარეობა, აღარ არსებობდეს უკანონო გარაჟები, ბენზინგასამართი სადგურები, უკანონო ბინათმშენებლობანი, რომლებიც მთელ ქალაქშია მოდებული. უსახური რეკლამები, რომლებიც ამახინჯებენ თბილისის იერ-სახეს. ლაშა მაქაცარია თვლის, რომ ეს არის „ხალხისთვის შექმნილი სამსახური“, რომლის ფუნქციაა არაპრობლემის გადაჭრა, არამედ ინსპექტირება და შესაბამისი ზომების მიღება. სამსახურის პირველი ღონისძიება იქნება ქალაქში გასვლა და უსახური რეკლამებისა და ბილბორდების ლიკვიდაცია.

ჟურნალისტებთან საუბრის დროს დაიბადა კითხვა: ხომ არ შეუშლის ხელს ერთმანეთს დავით მესხიშვილისა და ლაშა მაქაცარიას სამსახურები? ამაზე ბატონმა ლაშამ გვიპასუხა, ჩემი სამსახური ქალაქის მასშტაბით მოქმედებს, ხოლო მესხიშვილისა – რესპუბლიკის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ფუნქციების გამიჯვნა მოხდაო.

ახალი მაკონტროლებელი სამსახურის უფროსი ჯარიმებზეც გვესაუბრა. კანონმდებლობით სანქციები ძალიან ცოტა თანხას ითვალისწინებს, ამიტომ შევეცდები, რომ კანონში ცვლილებები შევიდეს თანხის გაზრდის კუთხითო.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მოწოდებულია დაიცვას და ხელი შეუწყოს დედაქალაქში მეწარმეობის განვითარებას, მაგრამ ამავე დროს გამოიყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ ყველა უფლებას, რათა ნებისმიერ კანონდარღვევაზე მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და არ დაუშვას დედაქალაქის მცხოვრებთა უფლებების შელახვა.

ბუშინ ლაშა მაქაცარია ნუცუბიძის ქუჩაზე იმყოფებოდა, სადაც ბილბორდების მოწესრიგება დაიწყო.

როგორც ლაშა მაქაცარიამ განაცხადა, მას მოლაპარაკებები ჰქონდა სარეკლამო კომპანიების – „ალმა პლუსი“, „იმპერიალის“ – წარმომადგენლებთან და ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე ისინი დედაქალაქში ყველა მოუწესრიგებელ ბილბორდს იერსახეს შეუცვლიან.



გუშინვე ქალაქის ზედამხედველობის სამსახურმა გამსახურდიას ქუჩაზე უსახური ბილბორდები მოჭრა, ელბაქიძის დაღმართსა და ნუცუბიძის ქუჩაზე კი უსახური ბილბორდების მოწესრიგება დაიწყო.

**ზურაბ მოდებაძე**

⊙ მერე, ბიუჯეტს რა?

# ეს „თამაშები“ ცუდად სრულდება

**უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ჩვენში, უმეტესწილად, სათამაშო ბიზნესს უკავშირდება. ამის შესახებ საინფორმაციო ცნობებიც ხშირია და შიგადაშიგ საკმაოდ ვრცელი მასალებიც ისტამბება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უკანონო მსხვილი ობიექტების, კერძოდ, „სტაციონარული სამორინეების“ შესახებ ცნობები შედარებით იშვიათია, უფრო ხშირად „პარტიზანულად“ დადგმული ერთეული სათამაშო აპარატების შესახებ გვესმის. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველთვის ზარალობს, რაც ცხადია, სამართალდამცველთა შესაბამის რეაქციას იწვევს. ამ თემას ეხება ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ მოწოდებული მასალებიც.**

ინდმეწარმე როლანდ შენგელიას ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ერთი ცალი სათამაშო აპარატი ჩამოართვეს. როგორც შემდგომ მოკვლევისას დადგინდა, რ. შენგელიას საქმიანობა კვებისა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობაა. გასულ ზამთარს მან მოსკოვის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი ცალი სათამაშო აპარატი ისე დაამონტაჟა, რომ ამ საქმიანობის ნებართვა არ მიუღია, რასაც ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიტიკის დეპარტამენტის სათანადო წერილი ადასტურებს. ეს დაადასტურა თავად რ. შენგელიამაც.

ფინანსური პოლიციის სპეციალურ გამოკვლევათა სამსახურის ცნობით, კანონის შესაბამისად, ამ საქმიანობისთვის მას ორი ათასი ლარი უნდა გადაეხადა, ხოლო ერთი აპარატის მუშაობისთვის სათამაშო ბიზნესის გადასახადი თვეში 50 ლარია.

ამ საკითხზე ლაპარაკი იქნებ არც ღირდა, მაგრამ, გვერწმუნეთ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია, თან სამწუხაროა ისიც, რომ ბიუჯეტთან ერთად ინდმეწარმეებიც „ზარალობენ“. ვინაიდან ისევე, როგორც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში (რ. შენგელიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა) მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ეს კი არავისთვის სასიხარულო არ არის.

ასევე უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ეხება მეორე შემთხვევაც, ინდმეწარმე მამუკა ოთარაშვილს ფინანსურმა პოლიციამ უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მამხილებელი საგნები ჩამოართვა, კერძოდ, ხუთი ცალი სათამაშო აპარატი; ორი შავი ჩანაწერების ჟურნალი; საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლები (7 ფურცლად) და პოკერის კლუბში თამაშის წესები. აქვე იმასაც დავძენთ, რომ ინდმეწარმეები მ. ოთარაშვილი და რ. შენგელია უკანონო სამეწარმეო საქმიანობას... ერთსა და იმავე მისამართზე ეწეოდნენ.

ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, მ. ოთარაშვილს სათამაშო აპარატების სალონის მოწყობისთვის ორი ათასი ლარი უნდა გადაეხადა, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად, ხუთი სათამაშო აპარატიდან თითოეულზე მ. ოთარაშვილს თვეში 50 ლარი უნდა გადაეხადა, ანუ თვეში მთლიანად 250 ლარი,. ხოლო წელიწადში – სამი ათასი ლარი.

**„ამრიგად, არსებული დოკუმენტების მიხედვით, ინდმეწარმე მ. ოთარაშვილს სულ ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა: სანებართვო მოსაკრებელი – 2000 ლარი; ლატარიისა და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობაზე მომსახურების მიზნობრივი მოსაკრებელი – 3000 ლარი; სათამაშო ბიზნესის კუთვნილი გადასახადი – 3000 ლარი“,** – აღნიშნულია ფინანსური პოლიციის მიერ მ. ოთარაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილებაში.

**ოთარ თეთრაძე**

# მწერალი მთავარია ენის საქართველოსთვის ცოდნა ცხოვრებისეული

ქვეყნისგარეთ ირმა შიოლაშვილი



დაიბადა 1974 წელს დედოფლისწყაროს რაიონში. 1992 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს I საშუალო სკოლა, 1996 წელს – უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა ტელევიზიის ლიტერატურულ პროგრამებში. 1998 წლიდან ცხოვრობს გერმანიაში. ისწავლა ბონის უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კათედრაზე ასპირანტურაში. სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა თემას „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“. 1999 წლიდან ბონის რადიოში ქართულ-გერმანულ კულტურულ პროგრამას უძღვება.

მისი პირველი წიგნი „არარსებული სიტყვა“ 1992 წელს გამოსცა „მერანმა“, მეორე წიგნი – „მოლურჯო თაღი“ 1996 წელს დასტამბა „მეცნიერებამ“. 2002 წელს კი „მერანმა“ გამოსცა მესამე წიგნი „ცრემლის ნაფეხური“. ლექსები თარგმნილი და წიგნად გამოცემულია რუსულ და გერმანულ ენებზეც.

ჰყავს მეუღლე იოახიმ ბრიტცე და შვილი ლუკასი.

1. რას იტყოდით XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურულ ტენდენციებზე?
2. გამართლებულია თუ არა წიგნის გადაქცევა კომერციისა და ბიზნესის საგნად? როგორ წიგნს ეყოლება მკითხველი მომავალში?
3. რა მიგაჩნიათ არსებით პრობლემად საქართველოსთვის?
4. როგორ აფასებთ ტრადიციულ კლასიკურ მწერლობას? რა შეგძინათ თქვენ, როგორც მწერალს? რომელია თქვენი სამაგიდო წიგნი?
5. რას იტყოდით ქართული ენის მიმართ მწერლის დამოკიდებულებაზე?
6. რაზე მუშაობთ ამჟამად?

● ახალი ტენდენცია ისევე ბუნებრივი და აუცილებელია ქართული ლიტერატურისთვის, როგორც ნიჭიერი ადამიანის მიერ ნათქვამი ახალი თავისუფალი სიტყვა. დღეს ლიტერატურულ ცხოვრებაშიც, ისევე, როგორც ქვეყანაში, წყალი ამღვრეულია. თუმცა კი, ნიჭი ამღვრეულ წყალშიც მარგალიტივით ბრწყინავს და იშვიათად იკარგება, მაგრამ სწორედ ამ ამღვრეული წყლის გამო ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით ახალ ტენდენციებზე საუბარი ნაადრევია.

● წიგნს ყოველთვის ეყოლება გემოვნებიანი და უგემოვნო მკითხველი. ასეა ყველა ქვეყანაში და ასე იქნება საქართველოშიც. მე, პირადად, არასდროს მომწონდა წიგნის კომერციის და ბიზნესის საგნად გამოყენების ფაქტები, მაგრამ, ისევე, როგორც კაპიტალიზმს, ამ პროცესსაც ვერ შევაჩერებთ.

● უგემოვნობა. მიჩქმალული ან ქვეყნიდან განდევნილი ნიჭი და კიდევ ის, რომ უგემოვნობის შემყურე მომავალ თაობას, ადვილი დასაშვებია, მდარე გემოვნება ჩამოუყალიბდეს.

● თანამედროვე კლასიკოსებში ბევრი საინტერესო სახელია, გერმანელი თანამედროვე კლასიკოსებიდან გიუნთერ გრასს გამოვარჩევდი, თუმცა რილკეს უფრო სიამოვნებით ვკითხულობ და აღტაცება მისდამი დღემდე არ გამნელებია. ქართველი მწერლებიდან კონსტანტინე გამსახურდიას გენიამ, მისმა არაჩვეულებრივმა ქართულმა შეასრულა დიდი როლი ჩემი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე. მისი ნაწერები ყოველთვის საოცარი შინაგანი ენერგიით მავსებს. ძალიან მიყვარს ოთარ ჭილაძის პოეზიაც და პროზაც, ანა კალანდაძის არაჩვეულებრივი ლირიკა...

● მწერალი მშობლიურ ენას სარწმუნოებასავით უნდა მოუფრთხილდეს. ძალიან მომწონს, როცა მწერალი ძველ, მივიწყებულ სიტყვებს თანამედროვე ენაში მარგალიტებივით აბნევს. ნიჭიერი მწერალი მშობლიურ ენასაც გემოვნებიანად გაუფრთხილდება და დაიცავს.

● დიდი ხანი არ არის, რაც დავამთავრე მუშაობა სადისერტაციო ნაშრომზე, რომელიც შედარებითი ხასიათისაა. მასში განხილულია ომგადატანილი ქართველი და გერმანელი ერის ის ფსიქოლოგიური და სულიერი მდგომარეობა, ომის შემდეგ შექმნილ პოეზიაში რომ აისახა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო გერმანელი პოეტი აღმოვაჩინე და ვთარგმნე, რომელთანაც სულიერი ნათესაობა მაკავშირებს. ძალიან ტრაგიკული ცხოვრების მქონე, ერთ ნიჭიერ პოეტ ქალზე წიგნის დაწერას ვაპირებ.

**ჩაიწერა**
**თამარ შაიშმელაშვილმა**

ირმა შიოლაშვილი

# ლექსთა კონა





* * *

ახლა ამ მიწას ატკივდება
ჩემი ცხოვრება
წვიმის ხმაურში დაბრუნებულ
თეთრი ვარდებით...
ეს დაბრუნებაც მხოლოდ მიწას
ემახსოვრება,
ემახსოვრება მოლოდინად ან
დაბადებად;
ეს დაბრუნება სინანული იქნება,
ალბათ,
(წყვდიადს ბეჭებზე სიყვარული
ჩამოადნება)
მე უხმაუროდ ჩავისუნთქავ
ჭროსჭერ მერიმეს
და დამსხვრეული სარკის ხმაზე
ავხარხარდები.

* * *

ასეა! ალბათ გაგიჟება ღირდა
ცრემლისთვის...
ნუღარცრას მომთხოვ ზარმაცსა და
მილისმოყვარეს,
არ შემადარო ყვავილები ჩვენი
ტყემლისა —
მე ფოთლებს ვგავარ —
ქარებმა რომ კართან მოყარეს.
ნუღარცრას მომთხოვ!
იმ წარსულში ტკივილი მტკივა,
ნურც გაიოცებ ჩემი ლექსის
„უდროო სიბრძნეს“...
ადრე თუ გვიან მონატრება
სულამდეც მივა,
თუკი დაღლილმა იმედებმა
სიმშვიდე იგრძნეს.

* * *

მე კი, ცხადია, არაფერს არ გთხოვ
ისე დამიხვდი, როგორც გენებოს,
თუმცა წლებს მველი სისავსე
ათოვს
და ნატვრა დიდი ბედნიერების.
არაფერს არ გთხოვ... როგორც
გენებოს
ისე იცხოვრე ჩემგან წასულმა, —
არ შეგრისხავენ სუსტი ხელები,
არ მოგასვევენ ზარს და ავსულებს,



როგორც გენებოს... ოღონდ
წასვლამდე
(სანამ მოსმენი შენს წილს
და საფერს),
წარსულს გახედე — სველი
სულიდან
ჩამოცვენილი ფოთლებით ნაფენს.

* * *

ჩემი სახეა სიყვარული
და სახლი, სადაც
ღამღამობით ნიღაბს ვიშორებ,
სავსეა ვარდის სურნელებით
და მეუღლის მზრუნველი მზერით
და აღარ ვიცი, სად დავმალო
სევდის თეთრი, მშვიდი ნაგლეჯი,
რომ ჩემს მშვენიერ, სადა ბაღში



მოლოდინი აღარ ყვავილობს.

* * *

შენი ცოდვები...
უცნაური მზერით წავიდნენ...
და დაფხრეწილი ნიღაბიდან
კივის თვალები,
სხვა გაზაფხული დაიწყება
ალბათ ხვალიდან,
შენ კი... შენ ასე
აღარავის არ ეყვარები.
და დაფხრეწილი ნიღაბიდან
კივის თვალები.
რა უცნაურად დაასრულეს
სჭექტაკლი წლებმა,
შენს გადამსხვრეულ სხივებს
უხმოდ დაატარებენ
ჭირველყოფილი მოლოდინით
დაღლილი ხმები
და დაფხრეწილი ნიღაბიდან
კივის თვალები.

* * *

**იოახიმს**

დღესაც ყელზე რომ უხმოდ
გეხვევი
და მხრები მითრთის
ფოთლისმაგვარად,
ცერებით მიწის სხეულს ვეხები
და ტელეფონით საქმეს ვაგვარებ,
არ იფიქრო, რომ კმაყოფილება
ოდესმე სულის ჯებირს წალეკავს,
მე ქარიშხლების სუნთქვა ვინებე
და ზეცის ბილიკს ლოცვით
ავეკარ.

* * *

ვინ შემიბრალებს უცხო მიწაზე
ბეღურასავით მცივანს და ამტანს,
მე გულს ავყევი და ახლა
სიტყვებს
შენს მშრალ კალთებზე ხმაურით
ვფანტავ
და თრთის კედლები,
რომელშიც ასე
მოჩვენებითი სიმშვიდით
ვცხოვრობ
და მხოლოდ შენი სიცილი
მავსებს
ამ გადაღლილი საღამოს
ბოლოს.



ეს ჩვენი თბილისია!

# მეტეხი

**მეტეხი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული უბანია. იგი მოიცავს ახლანდელი მეტეხის პლატოს, ღვინის აღმართს, მეტეხის ქუჩასა და რუისის ქუჩის მიდამოებს.**

მეტეხი იგივეა, რაც ადრინდელი საუკუნეების ისანი. წყაროებში პირველად იხსენიება XII საუკუნეში. ზეპირი გადმოცემით, V საუკუნეში აქ მეფე ვახტანგ გორგასალს აუგია ციხესიმაგრე, სასახლე და ეკლესია (ვახუშტი ამბობს, „იტყვიან ამის აღშენებას გორგასლისასა“). გადმოცემით, სწორედ იმ ეკლესიის სადიაკვნოში დაიკრძალა ქართლის პიტიახშის ვარსქენის მეუღლე, ქრისტიანობისთვის წამებული შუშანიკი.

სიტყვა „მეტეხი“ სასახლის ადგილსამყოფელს, სასახლის მიდამოს ნიშნავს (მეტეხის სახელწოდებით ცნობილია ღვთისმშობლის ეკლესია კასპში, რომელიც ასევე სასახლისეული – კათალიკოსის ყოფილა). დაახლოებით XII საუკუნიდან აქ ქართველ მეფეთა სასახლე მდებარეობდა. ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში აღწერილია, როგორ შეავედრა 1195 წელს შამქორს საომრად მიმავალი ქართველთა ლაშქარი თამარ მეფემ მეტეხის ღვთისმშობლის ხატს: „წარიხადნა სამოსელი ფერთხანი და ფერხივ შიშულითა ფერხითა მიიწია ტაძარსა ღვთისმშობლისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არ დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“.

მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია სამეფო სასახლის კარის ეკლესია იყო.

XIII საუკუნის პირველ მესამედში, ხვარაზმელთა ლაშქრობის დროს, სასახლე და ეკლესია დაანგრიეს. სასახლე მესტუმრე ჯიქურმა აღადგინა 1247-1270 წლებში (არ შემორჩენილა), ეკლესია კი – მეფე დემეტრე II თავდადებულმა, 1289 წელს, ყაენთან, ანუ მოწამებრივი სიკვდილის შესახვედრად წასვლის წინ. „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს: „მეფემან დიმიტრიმ აღაშენა პალატსა შინა მონასტერი და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზუარნი და განუჩინა მონაზონთა საზრდელი“. ამიერიდან „ისანს“ უჩნდება მეორე სახელი – „მეტეხი“, რომელიც სულ მალე ადგილის საკუთარ სახელად იქცევა კიდეც.

საყდრის სახელის წარმოშობაზე სხვადასხვა მოსაზრებაა. ზოგიერთი „მეტეხს“ უკავშირებს ბერძნულ სიტყვა „მეტოქს“, ზოგის ვარაუდით იგი წარმომდგარა სიტყვიდან „ტეხა“. მეტეხის ტაძარი, რომლის მშენებლობის დროსაც მანამდე არსებული ეკლესიის გეგმა გამოიყენეს, იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ვახუშტი ბაგრატიონი, როცა ულუ დავითისა და დავით ნარინის ორმეფობის ამბავს მოგვითხრობს, ამბობს: „შემოვიდნენ ტფილისს მეტეხის ეკლესიას შინა და საყდართა ზედა ორნივე... იკურთხნენ მუნვე ტფილისს“.

მეტეხი მტკვრის მარცხენა მხარის ქალაქის ციტადელი იყო. ზღუდე მტკვრამდე ეშვებოდა და მდინარეზე გადებული ხიდით უერთდებოდა ქალაქის ძირითად გალავანს.. ისე რომ, ციტადელი და მეტეხი ერთ მთლიან სიმაგრეს ქმნიდა.

ციხეს ეკვროდა სავაჭრო-სახელოსნო რიგები, უფრო ჩრდილოეთით კი – ვრცელი დასახლება ავლაბარი. მეტეხის პლატოს გარე ტერიტორია ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანს წარმოადგენდა. ეს უბანიც გალავნით იყო გარშემორტყმული.

მეტეხის პლატოს მოზღუდულობას, როგორც ქალაქის ციხის გაგრძელებას, „ქალაქის გალავანი“ ეწოდებოდა, ხოლო ავლაბრის მთლიან გალავანს – „ავლაბრის გალავანი“.

მეტეხის ციხე XVII საუკუნის II ნახევარში ააგო ქართლის მაჰმადიანმა მეფემ როსტომმა. იგი 1633 წლის თებერვალში შევიდა თბილისის ციხეში „მეფურის ძლიერებით“ და გამეფდა. მოსვლის უმალ ხელისუფლების განსამტკიცებლად ქართლის ციხეების გამაგრებას მიჰყო ხელი. თბილისის დიდ ციხეში – კალაში მანამდეც ყიზილბაშები იდგნენ. ახლა კი მან „მოავლო მეტეხს ზღუდე და ქმნა, ვითარცა ციხე მტკიცე ხიდითურთ“ და იქ ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა („ჩამოზღუდა კალა ციხის ყურამდე და მისცა სპარსთა“). ამით მან ქალაქი ფაქტობრივად ორად გაჰყო – ციხის, ანუ სპარსთა უბნად და ქართველთა უბნად.

მეტეხის ციხესიმაგრეს დაახლოებით 0,8 ჰექტარი ეკავა და ორ დონეზე იყო განლაგებული. ისტორიკოსები აღნიშნავენ, მეტეხი, როგორც ადრე ისანი, შეუღწევადი იყოო. თურქი გეოგრაფი ევლია ჩელები, რომელიც XVII საუკუნის 40-იან წლებში ეწვია თბილისს, აღნიშნავდა, მეტეხი მცირე ოთხკუთხა სიმაგრეაო. ციხის შიგნით 300 სახლი, ეკლესია და სხვა შენობები მდგარა. მცირე ციხე ქალაქის დიდ ციხეზე უფრო მტკიცე ყოფილა. ჩელებისვე ცნობით, მეტეხის სიმაგრეს 300 მცველი ჰყოლია.

XVII საუკუნის I ნახევრიდან, როცა ქართლის ტახტზე მაჰმადიანი მეფეები ისხდნენ, მეტეხის ტაძარი მიტოვებული იყო. შარდენის სიტყვით, მისი მიტოვება მეხის დაცემის შემდგომი დაზიანებით მომხდარა. მართალია, ვახტანგ V შახნავაზმა იგი შეაკეთებინა, მაგრამ წირვა-ლოცვა არ აღუდგენინებია, შიგ თოფისწამლის საწყობი მოაწყო.

ასე გაგრძელდა ერეკლე II-ის დრომდე. ერეკლემ 1747 წელს მეტეხის ციხე, ნარიყალა და თაბორი სპარსთაგან გაანთავისუფლა. მანვე მოხსნა კედელი, რომელიც ნარიყალადან მეტეხის ხიდამდე ეშვებოდა: „ბრძანა მეფემან და აიღეს გალავანი ქალაქისა, რომელ იყო ციხესა და ქალაქს შუა და გააერთიანეს ციხე და ქალაქი თბილისისა“.

პატარა კახმა მეტეხის ტაძარსაც მიხედა – მისი მორღვეული სამხრეთი კედელი აღადგინა. ამის შესახებ გვაუწყებს ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის წარწერა: „მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო, აიღო ჯუარი ქრისტესი, წინ მიიმძღურა ფარადო, დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს სახლის კარადო. ღვთის მოყვარეს ხელწიფესა ასე სჭირს ამის გვარადო“.

XVIII საუკუნის II ნახევარში თბილისში არსებობდა კერძო დაწყებითი სკოლების ფართო ქსელი. ქართველთათვის ასეთი სკოლები იყო მეტეხის, ანჩისხატის, სიონის, ქაშვეთის, კალოუბნის, ნათლისმცემლის ეკლესიებთან.

1795 წელს მეტეხი საბოლოოდ აღამაჰმად-ხანმა დაანგრია.

ამდენად, დროთა განმავლობაში მეტეხის ტაძარი არაერთხელ დანგრეულა, აღდგენილა და შეკეთებულა. უკანასკნელი სამშენებლო ფენები XVIII საუკუნეს და XIX საუკუნესაც კი განეკუთვნება. ბურჯები, გუმბათის ყელი, კამარები კი XVI-XVII საუკუნეებშია აგურით ამოყვანილი. XIII საუკუნის ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლები კამარის დონემდე, დასავლეთი კედლის ქვემო ნაწილი და სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნაწილი.

1819 წელს, ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს, მეტეხის ძველმა ციხემ თავისი არსებობა დაასრულა. ციხის კედლები დააქციეს, ეკლესიის გალავანში მცხოვრები საეკლესიო ყმა გლეხები გამოასახლეს და ყაზარმული ტიპის სატუსაღოს კორპუსები ააშენეს. თვითმპყრობელობამ იგი ურჩთა ერთ-ერთ მთავარ საპყრობილედ აქცია, საბჭოთა ხელისუფლებამ კი – რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთა ანგარიშსწორების ადგილად (მხოლოდ 1924 წ. 31 აგვისტო-3 სექტემბრის დღეებში მეტეხის ციხეში აგვისტოს აჯანყების 146 მონაწილე დახვრიტეს).

მეტეხის საპატიმრო 1933 წელს გააუქმეს, ხოლო 1958 წელს ციხის კორპუსები საერთოდ აიღეს და მეტეხის მიდამოები საბოლოოდ გაანთავისუფლეს. პლატოზე აღიმართა მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის დიდებული ქმნილება – თბილისის დამაარსებლის, მეფე ვახტანგ გორგასლის ძეგლი.

მეტეხი, ტაძრითა და კლდის ქიმის განაშენიანებით – მტკვარზე გადმოკიდებული აივნიანი სახლებით, რომელსაც მრავალი და არსებითი გადაკეთების მიუხედავად შერჩა თავისი პირვანდელი, თვითმყოფადი იერი და განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მხილველზე, არქიტექტურულ ნაკრძალადაა გამოცხადებული.



მეტეხი. XIX საუკუნის დასასრულის ფოტო.

**ალეკო ასლანიშვილი**

ბიზნესი

# მაშინ გამოჩნდება ხოლმე კერძო ინვესტორი

**საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში მორიგი ღონისძიება გაიმართა.** პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობის პროექტის (რომელიც ტასისმა დააფინანსა) ფარგლებში გერმანელმა ექსპერტმა ჰანს იურგერ ზახორკამ ქართველ ბიზნესმენებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო უცხოეთში, კერძოდ, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გავრცელებული ერთ-ერთი პროექტი, რომლის მიხედვით ხშირად სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ახდენენ, ვთქვათ, ხიდების, გვირაბების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების და სხვა ნაგებობათა გარემონტებას. როდესაც სახელმწიფოს არ ძალუძს ამა თუ იმ საქმიანობაში მთლიანად ჩადოს კაპიტალი, მაშინ მას შესაძლებლობა ეძლევა მოიზიოს კერძო ინვესტორი და ურთიერთსასარგებლო გეგმის მიხედვით იმოქმედოს.

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ფინანსურმა მენეჯერმა ლადო ხარატიშვილმა გვითხრა, რომ ამ პროექტის მსგავსი შეთანხმება ჩვენს ქვეყანაში არსებობს. საქართველოში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის დამოკიდებულების კარგ მაგალითად ჩაითვლება ლიფტების სარგებლიანობა. ამ შემთხვევაში ლიფტები, მართალია, ეკუთვნის სახელმწიფოს, მაგრამ მას კერძო ფირმა არემონტებს.

ვთქვათ, სოფლად გასაყვანია გზა, მაგრამ სოფლის გამგეობას სათანადო თანხები არ გააჩნია, მაშინ სოფლის გამგებელი და ინვესტორი ურთიერთშეთანხმებითა და პარტნიორობით ახერხებენ ამ გზის გაყვანას. ასეთ დროს სახელმწიფო პარტნიორი ყურადღებას ძირითადად სახელმწიფო ინტერესების დაცვაზე, გაწეული მომსახურების ხარისხზე და ფასდადების პოლიტიკაზე ამახვილებს.

როგორც ლადო ხარატიშვილმა აღნიშნა, ამ პროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იხსნის მოვალეობას, მაგრამ არც ზედმეტად აკონტროლებს რაიმეს.

ასეთი ურთიერთობები თუ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ დაინერგება, ეს უთუოდ ხელს შეუწყობს ბევრი პრობლემის მოგვარებას.

სახელმწიფო – კერძო პარტნიორობა (PPP) ბიზნესის სამყაროში დასაქმებულთ მოუწოდებს ახალი ურთიერთობებისკენ, რომლებიც საინტერესო იქნება ორივე მხარისთვის!

**ლალი ქინქლაძე**

ხელოვანი და დრო

# ცრემლით განბანვა მირონით განბანვის ტოლფასია

**ამ დღეებში მსოფლიოში აღიარებულ ფერმწერსა და მონუმენტალისტს, რუსეთის ფედერაციის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს ზურაბ წერეთელს მიანიჭეს „ლიტერატურისა და ხელოვნების უმაღლესი ოფიცრის“ წოდება.**

ეს ჯილდო საფრანგეთში 1957 წელს დაარსდა. საფრანგეთის კულტურის სამინისტრო მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი, როდესაც მასთან არსებული საგანგებო კომიტეტისა და მკაცრი ჟიურის განხილვის შედეგად შეირჩევა ამ დარგში მოღვაწე განსაკუთრებული დამსახურების კანდიდატი, ანუ ვის უნდა მიენიჭოს ეს პრესტიჟული ჯილდო. ეს ეხება როგორც საფრანგეთის, ისე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს. ისე, ცნობისთვის, ეს ჯილდო, სხვადასხვა ხარისხითა და სხვადასხვა „ჩინით“; სხვადასხვა დროს მიანიჭეს მწერალ ხორხე ლუის ბორხესს, მომღერლებს მონსერატ კაბალიეს, ხოსე კარერასს, მსახიობებს ჟანა მოროს, ვანესა რედგრეივს, მსოფლიოში აღიარებულ დირიჟორს კენტ ნაგანოს და იაპონელ არქიტექტორს ტადაო ანდოს.

გარდა იმისა, რომ ზურაბ წერეთლის შემოქმედებამ უკვე მსოფლიო რეზონანსი შეიძინა, მან საფრანგეთში განახორციელა დიდი ფრანგი მწერლის ონორე დე ბალზაკის შესანიშნავი ქანდაკება, ხოლო მოსკოვში, სასტუმრო „კოსმოსის“ წინ აღიმართა გენერალ დე გოლის მონუმენტური ფიგურა, რომლის გახსნაზეც მოსკოვში საგანგებოდ ჩამოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი.

მემორიალის გახსნა 2005 წლის 9 მაისს, დიდი სამამულო ომის დამთავრების 60 წლისთავის საიუბილეო დღეებს დაემთხვა, სამშობლოში დაბრუნებულმა ჟაკ შირაკმა ასე გამოხატა თავისი და ფრანგი ხალხის მადლიერება; მან ძვირფასი საჩუქარი და საკუთარი ხელით დაწერილი მადლობის წერილი გამოუგზავნა დიდ მაესტროს.



ახლა კი იმ ორი პრესკონფერენციის შესახებ, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ ზურაბ წერეთელმა ჯერ მოსკოვში, ხოლო შემდეგ სანკტ-პეტერბურგში გამართა, პირველზე მან ჟურნალისტების თანდასწრებით კატეგორიულად უარყო მოარული ჭორები იმის შესახებ, თითქოს იგი აპირებდეს პოეტ იოსებ ბროდსკის ქანდაკების დადგმას. „წარმოუდგენელია ამდენი ტყუილების მოსმენა“ განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ გამოჩენილ თანამედროვე მოღვაწეთა სკულპტურული პორტრეტები, როგორიცაა, მაგალითად, ვისოცკი, ახმატოვა, ოკუჯავა, ევტუშენკო, ვოზნესენსკი, ლუჟკოვი და ცხადია ბროდსკიც, რომლებმაც კარგი გამოხმაურება ჰპოვა სანკტ-პეტერბურგის გამოფენაზე. ისინი დღესდღეობით თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა. ისე რომ, უახლოეს მომავალში დიდი პოეტის იოსებ ბროდსკის ქანდაკების დადგმას იგი არ გეგმავს.



მეორე პრესკონფერენცია, რომელიც მან ასევე სანკტ-პეტერბურგში გამართა, ეძღვნებოდა იმას, რომ უკვე დამთავრდა საჩამომსხმელო სამუშაოები და მალე ამერიკისაკენ გემით გეზს აიღებს მემორიალ „ცრემლის“ დასამონტაჟებელი ნაწილები.

... პოლიციის საგანგებო ესკორტი მიაცილებდა 170-ტონიან ტვირთს 5 დიდ ტრაილერზე განლაგებულს ნიუ-იორკის საოკეანო პორტიდან ნახევარკუნძულისაკენ, კერძოდ ყურეში მდებარე ქალაქ ბეიმონში. ტვირთი ზღვით სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა. ეს გახლავთ ბრინჯაოში ჩამოსხმული მემორიალ „ცრემლის“ ნაწილები, რომელიც ზურაბ წერეთელმა 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპულთა უკვდავყოფას მიუძღვნა.

ბეიმონი ის ქალაქია, რომლის სანაპირო პირდაპირ მანჰეტენს უყურებს, რომლის ცენტრალურ პარკში აღიმართება ბრინჯაოში ჩამოსხმული ბარბაროსული ტერაქტის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის ამსახველი 30 მეტრის სიმაღლის მემორიალი.

— ამ ტვირთის ადგილამდე მიტანას და ჩამოტვირთვას რამდენიმე კვირა დასჭირდება, — ამბობს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მთავარი ინჟინერი ფრედ ვერსტელი — მისი ყველაზე პატარა 28 ტონას იწონის, ხოლო ყველაზე დიდი — 63 ტონას. ამიტომაც საგანგებოდ, განსაკუთრებულად დიდი გაბარიტების ამწე-კოშკურა მოვიტანეთ. ეს ყველაფერი კი ცხადია, — იმ საბაჟო დათვალიერების, ყველა ნიუანსების დაცვისა და გავლის შემდგომ, რომელიც, ასე განსაჯეთ, რადიაციაზეც კი ამახვილებს ყურადღებას, ასე რომ, საბაჟო დათვალიერებასაც რამდენიმე დღე დასჭირდება.

წლევანდელი 16 სექტემბერი კი ის ისტორიული დღეა, როცა გრანიტის ფილა დაიდგმება სამახსოვრო წარწერით. მასზე ამოტვიფრული იქნება, რომ ძეგლი რუსი ხალხისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის საჩუქარია. ქალაქის მერი და საქმეში ჩახედული დიზაინერები ვარაუდობენ, რომ ნახევარკუნძულის სანაპიროზე, პარკში, ცენტრალური ნაგებობა ეს მემორიალი იქნება გარშემო 11 სექტემბრის სიმბოლიკით, 11 ბილიკი აიღებს სათავეს და შეიქმნება მრგვალი სივრცე... ამ ბილიკებზე, რომელიც მთელ პარკს მოიცავს ნებისმიერი ქვეყნის მხატვარს შეეძლება საკუთარი ქანდაკებით დაამშვენოს პარკი და კიდევ, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გარდა ამ მონუმენტური ბროლის ცრემლისა, იქვე ამოიტვიფრება იმ ადამიანთა გვარ-სახელები, ვინც ამ ბარბაროსულ ტერაქტს შეეწირა. ასე რომ ამ მემორიალის გახსნით უკვდავებაში შევა ის 3400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, რომელიც ამ ვანდალურ აქტს შეეწირა.

*P. S. ჟურნალისტს, რომელიც ზურაბ წერეთლის შემოქმედებას ფეხდაფეხ მიჰყვება, თითქოს არ უნდა მიკვირდეს მისი აზროვნების მასშტაბურობა და მაინც ხანდახან მაოცებს, ესოდენ კონკრეტული დროის შესატყვისი შემოქმედებითი იმპულსით გაჯერებული მუზა, ანუ იმ დიდი ხელოვანის წინგასწრებით. დღეს რომ თითქოს გიჭირს შეგუება (ამერიკელებს ცოტა არ იყოს უჭირდათ ცრემლთან შეგუება), არადა, დროს რომ უსწრებს და მომავალში, როცა ეს ეპოქა წარსულში იქნება სამარადისოდ, არა მარტო ფიქრის და განსჯის საგანი გახდება, თუ რატომ მოხდა ასე, რამ მიიყვანა ადამიანები ამ საშინელებამდე.*

*მეც მისთვის მიკითხავს, თუ რატომ ცრემლი?.. როგორც დიდი მაესტრო განმარტავს, იგი მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნიდანაა, სადაც ხშირია მირონმდინარე ხატები...*

*ეს ხდება მაშინ, როცა ერს განსაცდელი ელის, როცა ერს სინანულის ჟამი უდგას, როცა ერს დიდი ბედნიერება აქვს... მირონი უმეტესწილად ღვთისმშობლის ხატებს სდის. ღვთისმშობელი ხომ კაცობრიობის დედაა.*

*ცრემლის ლაბორატორიული ანალიზი მოწმობს, რომ იგი თავისი შემადგენლობით ძალიან ახლოსაა მირონთან, რადგან ცრემლი გულიდან მოდის... ცრემლები მხოლოდ ტრაგედიას როდი ახლავს... ის ახლავს სინანულსაც და სიხარულსაც.*

*ცრემლი ადამის მოდგმის თანამგზავრია, მანამ, სანამ კაცობრიობა სულიერებით საზრდოობს...*

*არსებობს ხილული ცრემლი და არსებობს უხილავი ცრემლი, სულში ჩაბრუნებული ცრემლი... ერთი სიტყვით ცრემლი ჩვენ განგვწმენდს ცოდვებისაგან, გვიიოლებს სინანულს, გვიმსუბუქებს განსაცდელს, ცრემლი ანეიტრალებს სიხარულის აღმაფრენას...*

*ცრემლი ის უხილავი მეგობარია, რომელიც მუდამ ჩვენს სულებშია და გვაგრძნობინებს, რომ უფალი ჩვენებრ წამებულია და ისიც ჩვენშია...*

*უფალი ამბობს, სინანულის ცრემლით განბანილი მირონით განბანილს უტოლდებაო.*

**დოდო იორდანიშვილი.**

---

ყოფილ სსრ კავშირში არჩევნების და ბიზნესის არ სწამთ

# ყოფილ სსრ კავშირში არჩევნების და ბიზნესის არ სწამთ

**კომუნიზმის დამხობიდან 15 წლის შემდეგაც კი ყოფილი საბჭოთა კავშირის მცხოვრებლები ძალზე უნდობლად ეკიდებიან ხელისუფლებას, მათ დიდ უმრავლესობას კი არ სწამს, რომ შეძლებს, თუნდაც ოდნავი გავლენა მოახდინოს თავ-თავიანთი ქვეყნების ხელმძღვანელობათა მუშაობაზე.**

ასეთია „ვინ მართავს მსოფლიოს“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ერთ-ერთი შედეგი, რომელიც ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურის ეგიდით განახორციელა 68 ქვეყანაში „გელაპის“ კომპანიამ.

ერთ-ერთი კითხვა, რომელიც დაუსვეს რესპონდენტებს, ასეთი იყო: რამდენად ენდობით პოლიტიკურ ლიდერებს? როგორც გაირკვა, პლანეტის მცხოვრებთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათი მთავრობები არ აქცევენ ყურადღებას ხალხის ნება-სურვილს.

მაგრამ ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში პოლიტიკოსებს არ ენდობა გამოკითხულთა 75 პროცენტი. ევროპასა და შეერთებულ შტატებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 64 და 60 პროცენტს შეადგენს.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამოკითხულთა ნახევარზე ნაკლებს (47 პროცენტს) მიაჩნია, რომ არჩევნები მათ ქვეყნებში შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლად და სამართლიანად. მაგრამ ყოფილ სსრ კავშირში ასე მიიჩნევს გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედი. ამაზე უარესი მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ დასავლეთ აფრიკაში, სადაც რესპონდენტთა 24 პროცენტს მიაჩნია, რომ არჩევნები სამართლიანად იმართება.

მთელ მსოფლიოში ადამიანები ყველაზე ნაკლებად ენდობიან პოლიტიკოსებს — 13 პროცენტი. მაგრამ რუსეთში შეიარაღებულ ძალებს და სამართალდამცველ ორგანოებს ენდობა რესპონდენტთა მხოლოდ 4 პროცენტი, უკრაინაში კი — 8 პროცენტი. მსოფლიოს მასშტაბით ეს მაჩვენებელი ერთისამად უფრო მეტია — 26 პროცენტი. გამონაკლისია იაპონია, სადაც გამოკითხულთა მხოლოდ ერთი პროცენტი უცხადებს ძალოვანებს ნდობას.

დაბალია ბიზნესმენებისადმი ნდობის დონეც.

ყოველივე ამის ფონზე, მაინც არსებობს საფუძველი ოპტიმიზმისთვის — ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებში 30 წლამდე ახალგაზრდების ორ მესამედზე მეტს მიაჩნია, რომ შეძლებენ თავიანთი მომავლის შეცვლას. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტთა შორის.




როგორც გამოკითხვიდან გაირკვა, მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტად ენდობიან რელიგიურ ლიდერებს — 33 პროცენტი. მათ შემდეგ მოდიან სამხედროები და პოლიციელები, მესამე ადგილზე კი არიან ჟურნალისტები, რომელთა მიმართ ნდობა განსაკუთრებით დაბალია ევროპაში.

# „ალ-ყაიდა“ ერაყში სამოქალაქო ომის დაწყებას აპირებს

**ტერორისტთა ლიდერმა აბუ მუსაბ აზ-ზარქავიმ ბაღდადში გააერთიანა მეამბოხეთა რიგები იმ მიზნით, რომ მიაყენოს დარტყმები შიიტთა თემს და ამით გამოიწვიოს ერაყში სამოქალაქო ომის გაჩაღება.**

ამერიკის სადაზვერვო წყაროების თანახმად, აზ-ზარქავი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ერაყში მომხდარი ყველაზე სისხლისმღვრელი ტერორისტული აქტებისთვის, ამჟამად აკონტროლებს ერთმანეთთან დაპირისპირებულ დაჯგუფებებში შემავალ ათასობით მოთარეშეს და აპირებს გასცეს ბრძანება ტერაქტების ახალი ტალღის დაწყების შესახებ.

ერაყის ამ თვითმარქვია „ამირას“ ბრალად ედება ბაღდადში კოორდინირებული აფეთქებათა სერიის განხორციელება, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 152 კაცი — ძირითადად ღარიბი შიიტი-მუშები, რომლებიც შეკრებილი იყვნენ ხალხმრავალ მოედანზე, სადაც კამიკაძემ ააფეთქა დანაღმული ავტომანქანა.

„ალ-ყაიდის“ ორგანიზაციამ შუამდინარეთში“ გამოაცხადა ომი შიიტების განადგურებისთვის“, — განაცხადა 38 წლის აზ-ზარქავიმ აუდიომიმართვაში, რომელიც ერთ-ერთ ისლამურ საიტზე გამოჩნდა. მან მოუწოდა სუნიტებს, შეუერთდნენ ბრძოლას.

ამერიკის და ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სერიოზულად აღიქვეს ეს მუქარა და 25 მილიონი დოლარი დააწესეს ჯილდოდ აზ-ზარქავის შეპყრობისთვის.



ამავე დროს, როგორც ბაღდადიდან იტყობინებიან, ქალაქის სამხრეთ ნაწილში ავტომობილში დადებული ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 15 ერაყელი პოლიციელი და ხუთი მშვიდობიანი მცხოვრები.

აფეთქება მოხდა მას შემდეგ, რაც, კამიკაძე-მძღოლმა, ავტომობილი მიმართა საბარგო მანქანისკენ, რომლითაც პოლიციელები გადაჰყავდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ტაქტიკას ხშირად იყენებენ სუნიტი-მოთარეშეები.

ამავე დღეს, ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ ქირკუკში მოკლეს ორი პოლიციელი და ამდენივე დაჭრეს.

მოთარეშეებმა თავიანთი მოქმედება გაააქტიურეს მაშინ, როცა ერაყის კონსტიტუციის საბოლოო პროექტი გადაეცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. კონსტიტუციის პროექტის ტექსტს ერაყში გაავრცელებენ რეფერენდუმის წინ, რომელიც 15 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

# გაერო ტერორის წაქეზებას კანონგარეშედ აცხადებს

**გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიზანია ტერორისთვის წაქეზების აღკვეთა. კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც მოიწონა უშიშროების საბჭომ, მიზნად ისახავს იმას, რომ არ დაუშვან ახალი კონფლიქტების გაღვივება, კერძოდ, აფრიკაში.**

„ტერორიზმს ვერ დავამარცხებთ, თუ ჩვენც ისევე მიზანმიმართულად არ ვიმოქმედებთ, როგორც ისინი, — განაცხადა უშიშროების საბჭოზე დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა. — უშიშროება იმას როდი ნიშნავს, რომ ზურგი შევაქციოთ სხვებს, ვეძებოთ მშვიდი ცხოვრება, უგულებელვყოთ სხვების წინაშე არსებული სირთულეები“.



თავის მხრივ, რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ანტიტერორისტულ ბრძოლაში ახლა ისახება „ახალი სერიოზული ამოცანები, მათ შორის, ტერორისთვის წაქეზების აღკვეთა. ასეთი მოქმედება დანაშაულებრივად უნდა ცნოს უკლებლივ ყველა სახელმწიფომ“.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა მსოფლიოს ლიდერებს მოუწოდა, რომ უფრო მეტი ძალისხმევა გაიღონ გაეროს რეფორმირებისთვის და მიმართონ უფრო გადამჭრელ ზომებს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ასევე მოუწოდა გაეროს, განახორციელოს მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელთა წყალობითაც მსოფლიო გაერთიანებას მიეცემა სადღეისოდ არსებულ პრობლემებზე ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობა. გარდა ამისა, აღნიშნა ბუშმა, შეერთებული შტატები ერთგულობს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის იდეას.

# ამერიკაში ავიაგიგანტებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს

**ამერიკის ხუთი უდიდესი ავიაკომპანიიდან ორმა — Delta და Northwest ავიაკომპანიებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს.**

ამერიკის კანონმდებლობის თანახმად, გაკოტრებულ კომპანიებს აქვთ უფლება, განაგრძონ საქმიანობა, ასე რომ, მათი თვითმფრინავები კვლავ დაფრინავენ.

შეერთებული შტატების უდიდეს ავიაგადამზიდთა ხუთეულში ახლა ოთხი გაკოტრებულია — United და US Airways ავიაკომპანიებმა უკვე მანამდე მოითხოვეს დაცვა კრედიტორებისგან.

ამერიკული კანონი გაკოტრების შესახებ იცავს აქციონერებს და კომპანიებს კრედიტორების საზიანოდ, რომლებსაც, მართალია, შეუძლიათ მოახდინონ ზემოქმედება კომპანიების საქმიანობაზე, მაგრამ მათი დაშლა დაუყოვნებლივ არ შეუძლიათ ვალების ამოღების მიზნით.

ეს კანონი მუშაობის გაგრძელების საშუალებას აძლევს ამერიკულ ავიაინდუსტრიას, რომელიც უკვე ოთხი წელია ღრმა კრიზისს განიცდის.

შეერთებული შტატების ავიაკომპანიებს უდიდესი დარტყმა მიაყენეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა. მათმა საქმეებმა მხოლოდ ახლა დაიწყო ნელ-ნელა გამოსწორება, მაგრამ მოიმატა ნავთობის ფასმა, რამაც ძალზე გააძვირა საავიაციო სათბობი.

მცირებიუჯეტიანი პატარ-პატარა ავიაკომპანიების მხრიდან სასტიკი კონკურენციის პირობებში მსხვილ ავიაკომპანიებს ძალზე გაუჭირდათ — მათი ზარალი ყოველ კვარტალში ათობით მილიარდ დოლარს აღწევს.




დღის თემა

# სად უერთდება არაგვი მტკვარს?

**მცხეთაშიო, იტყვით.**

**მეც გულუბრყვილოდ ასე მეგონა.**

**გორში, ისევე როგორც ქვეყნის სხვა დაბა-ქალაქებში სამეწარმეო ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. ნაკადური ხაზებიდან ნაირ-ნაირი კონსერვი გადმოდის, საცხობებში მრავალგვარი ასორტიმენტის პური ცხვება, ღვინის ქარხნებიდან დიდებული ეტიკეტებით მორთული სხვადასხვა მარკის, ფერისა და გემოს ღვინის ბოთლებით დატვირთული რეფრიჟერატორები გამოდის.**

ახლა არ იკითხავთ რამდენს და რა სახის ღვინოს აწარმოებს თუნდაც ერთი პატარა ქარხანა? რა მარკის ღვინოსაც მოისურვებთ და რამდენსაც შეუკვეთავთ!

იმერეთის ერთ-ერთ კუსტარულ ღვინის ქარხანაში მეგობარი ჟურნალისტი ასეთ სურათს გადააწყდა:

— ოთხი ათას ბოთლ „ხვანჭკარაზეა“ შეკვეთა.

— ჩამოასხი, მერე.

— ეტიკეტი რომ არ მაქვს?

— აბა, რისი გაქვს?

— „ქინძმარაულის“.

— მაშინ „ქინძმარაული“ ჩამოასხი და შეუცვალე შეკვეთა.

თურმე იმ ქარხანაში არც თეთრ ღვინოებზე ყოფილა უკეთესად საქმე.

— „ტვიშის“ იარლიყის შოვნა გაჭირდა.

— არც „გორული მწვანე“ გაქვს?

— „მანავის მწვანე“ მაქვს მარტო.

— ჩამოასხი, მწვანე მწვანეა.

ორი უზარმაზარი ჩანი დგას თურმე იქ. ერთიდან ჩამოდის „მანავის მწვანე“, „ატენური“, „ტვიში“, მეორედან — „ქინძმარაული“, „ოჯალეში“ და სხვ.

სამეწარმეო ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

ღვინო ღვინოდ, მაგრამ ახლა ღვინო-მასალებს არ იკითხავთ?

მათს ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებსა და შემადგენლობაში გამოცდილი ექსპერტები ყურძნის მარცვალსაც ვერ პოულობენ. ახლოვდება რთველი და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ქვემდებარე სამსახურები ფხიზლად ადევნებენ თვალს, როგორ ემზადებიან რთვლისთვის ღვინის ქარხნები, რომ მათ სამარკო ღვინოები ქიმიური პრეპარატებით კი არა, ბუნებისგან ბოძებული განუმეორებელი ნედლეულისგან — ყურძნისგან დაამზადონ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლეხი ყურძენს რეალიზაციას გაუკეთებს, ქარხანა, თავის მხრივ, შეისყიდის მას და ისეთ ნატურალურ პროდუქციას გამოუშვებს, იტყვი, მართლაც ღვინოშია ჭეშმარიტებაო.




ამიტომაც ამ დღეებში ღვინის ქარხნებში მასობრივად მიმდინარეობს შემოწმება — როგორ ემზადებიან რთვლისთვის, ხომ არ შემორჩათ ქარხნებს „შემთხვევით“ რაიმე სუროგატი? ერთი ასეთი შემოწმება ამ დღეებში გორის ორ ღვინის ქარხანაშიც ჩატარდა. ერთს სახელად შპს „მიკიტანი“ ჰქვია, მეორეს — შპს „არაგვი“. შემოწმების შედეგები აისახა სოფლის მეურნეობის სამმართველოს ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამმართველოს ლაბორატორიის დასკვნაში: „აღნიშნული ღვინო-მასალები არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტს და მოხმარებისთვის უვარგისია“.

როგორც ცნობილია, უვარგისი ღვინო-მასალიდან ღვინოც უვარგისი დგება.

სიტუაცია რომ არ გართულებულიყო, „არაგვისა“ და „მიკიტანის“ თავკაცები მივიდნენ სადაც ჯერ არს და განაცხადეს; თანახმა ვართ ჩვენი უვარგისი პროდუქცია გადავღვაროთო.

შესაბამისი ორგანოების წარმომადგენელთა თანდასწრებით შპს „მიკიტანის“ 48 ტონა და შპს „არაგვის“ 30 ტონა ე.წ. ღვინომასალა მტკვარში გადაუშვეს.

ახლაც იტყვით, რომ არაგვი მტკვარს გორში არ უერთდება?!

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**

გვწერენ

# ბიზნესის წარმართვა გაძნელდება

**ლეგალური ბიზნესის წარმართვა ძალიან ძნელია. იგი ათასგვარ თავსატეხს უჩენს მეწარმეებს. ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელზეც მისი შემქმნელები გაიძახოდნენ. იმდენად ლიბერალურია, მსოფლიო პრაქტიკაში ბადალი არ მოეპოვებაო, სინამდვილეში კვლავ რთული შესასრულებელი აღმოჩნდა. ამას ემატება 2006 წლის 1 იანვრიდან გაზზე ფასების შესაძლო მატება, რაც პირველ რიგში პროდუქციის თვითღირებულებაზე იმოქმედებს.**

საინტერესოა, რა ფასში მოაწვდიან გაზს მეწარმეებს, რადგანაც მათთვის მისი ფასი 1000 მ$^{3}$ 270 ლარია, ანუ ისედაც გაძვირებული 150 დოლარის ტოლფასია. მისი კიდევ მომატება უბრალოდ ვერავითარ საზღვრებში (მხედველობაშია პროდუქციის თვითღირებულება) ვერ ჩაეტევა, ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაძვირდა ალტერნატიული საწვავიც — მაზუთი, სოლიარი, ბენზინი.

რა პერსპექტივაა ალტერნატიული გაზის მოწოდებაზე აზერბაიჯანიდან, ირანიდან. მახსოვს, აცხადებდნენ, ქართული გაზიც აღმოვაჩინეთო და ინგლისიდან დანადგარები გზაშიაო. თუ ამ მხრივ მეწარმეებს დროულად არ შევუწყვეთ ხელი, ზამთარიც მალე მოგვადგება და პრობლემებიც მოგვიმრავლდება, ხოლო საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული 100-ათასიანი ზღვარი, რომელიც ზოგიერთ მეწარმეს გადასახადებისგან ათავისუფლებს, ბევრ გაუგებრობას ქმნის ფასწარმოქმნასა და პროდუქციის ლეგალური ბიზნესის წარმართვაში, რადგანაც ბევრი გადასახადებიდან სწორედ აქ ხედავს თავშესაფარს.

**მალხაზ დოლიძე,**
**თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე,**
**სს № 4 პურის ქარხნის დირექტორი.**

უცხოური პრესის ფურცლებზე

# თუ შეუძლია ლატვიას საქართველოს დახმარება?

*ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შემდეგ ლატვია სულ უფრო ხშირად მართავს კონსულტაციებს თავის ყოფილ საბჭოთა თანამოძმეებთან. გასულ კვირას, ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევით, რიგაში იმყოფებოდა თბილისის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი. მას მიაჩნია, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდება ლატვიასთან მჭიდრო ურთიერთობა, რათა გახდეს სანუკვარი სტრუქტურების — ნატოს და ევროკავშირის წევრი.*

**— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ლატვიამ და საქართველომ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოიპოვეს დამოუკიდებლობა. თქვენი აზრით, რა განაპირობებს ასეთ სხვაობას ამ ქვეყნების ევოლუციაში?**

— ეს კანონზომიერია! უწინარეს ყოვლისა, ამის ახსნა შეიძლება განსხვავებული კულტურებით. ლატვიელები უფრო მიზანმიმართული, დაბალანსებული და, ალბათ, უფრო შრომისმოყვარე ხალხია. ჩვენ ნაკლებად თავშეკავებული, ფიცხი, ხშირად — არათანამიმდევრული და ემოციურები ვართ...

**— ალბათ, სწორედ ჩვენი თავშეკავებულობით შეიძლება აიხსნას ის, რომ პუტჩის გარდა, აქ არ ყოფილა არც ნარინჯისფერი და არც ვარდების რევოლუციები...**

— დიახ, ჩვენთან ყველაფერი უფრო ტრაგიკულად ვითარდებოდა. თუმცა, რაღაც-რაღაცეებში მარტო ჩვენ როდი ვართ დამნაშავე, მაგრამ ბევრ რამეში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი. გარდა ამისა, ლატვიას დასავლეთი ევროპა ყოველთვის მიიჩნევდა, ასე ვთქვათ, „თავისიანად“ და ამიტომაც, თქვენ უფრო გაგიადვილდათ ყველაფერი. საქართველოსთვის კი, საქმე უფრო რთულად დგას. „თავისიანად“ საქართველოს არ მიიჩნევენ, და ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსი ვართ, ვიყოთ ევროპული ქვეყანა. ეს კი იოლი საქმე არ გახლავთ.

**— თქვენი მოხსენების თემა დაახლოებით ასეთი იყო: „საქართველო დღეს: რით შეუძლია მას დაეხმაროს ლატვია?“. როგორია დღევანდელი საქართველო პოლიტიკური თვალსაზრისით?**

— პრინციპში, საქართველო დღეს კიდევ კრიზისში იმყოფება. არა მგონია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თანამეგობრობის რომელიმე წევრ ქვეყანას გადაელახოს ეს მიჯნა და ახლა ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ისინი ყველა ხომ მაღალსპეციალიზებული ორგანიზმის ნაწილები იყვნენ და დაყოფა მათ საკმაოდ მტკივნეულად გადაიტანეს. გარდა ამისა, საქართველოში კიდევ იყო სამოქალაქო ომი, თანაც, ეს კონფლიქტებიც არ არის მოგვარებული. ჩვენ რუსეთმა, ფაქტობრივად, წაგვართვა ორი ტერიტორია — სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი. იქ დღემდე რუსი სამხედროები არიან. და ეს ძალზე მძიმე გავლენას ახდენს ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაზე. თანაც, ვერაფრით ვერ მოგვიგვარებია ურთიერთობა რუსეთთან — ეს ძალზე რთულია. არადა, დიდ და პატარა ქვეყანას შორის ურთიერთობის ფორმირების ინიციატივა უნდა გამოთქვას უფრო ძლიერმა მხარემ, რადგან იგი კარნახობს თავის პირობებს. მაგრამ ის პირობები, რომელსაც რუსეთი გვთავაზობს, ამჟამად ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში იმდენი სირთულე იყო, რომ ახლა ძნელია ყოველივე ამის გამოსწორება და ნორმალური კავშირების დამყარება. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვენდობით რუსეთს.



**— რუსეთთან საქართველოს გაუარესებულ ურთიერთობაში არსებით როლს ასრულებს შეერთებული შტატებიც, რომელიც თქვენს ქვეყანაზე ძლიერ გავლენას ახდენს.**

— დიახ, ამას აქვს მნიშვნელობა. მაგრამ თვითონ რუსეთი რატომ არ უნდა მოიქცეს ისე, რომ ჩვენ მას უფრო მეტად ვენდოთ? არადა, იმისთვის, რომ ჩვენი მეტი ნდობა დაიმსახუროს, განა საჭიროა, რომ რუსეთმა სცადოს ჩვენი ტერიტორიების წართმევა, არ დათანხმდეს ჯარების გაყვანაზე და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ვითარება საქართველოში არასტაბილური იყოს? გარდა ამისა, თითქმის ყოველდღე გვემუქრებიან კიდეც, რომ ჭკუით თუ არ იქნებით, ყველაფერს აგიფეთქებთ და ქვას ქვაზე არ დავტოვებთო... დავუშვათ, თქვენ ვიღაცამ ყოველდღე გიმეოროთ, რომ ხელ-ფეხის მოკვეთას გიპირებთ, როგორი ურთიერთობა გექნებათ მასთან? ნუთუ ენდობით ასეთ ქვეყანას? ამ დროს კი ჩვენთან მოდიან ამერიკელები და გვეუბნებიან, რომ ვართ ღირსეული ხალხი და ღირსეულადაც უნდა ვიცხოვროთ, თვითონ კი ამაში დაგვეხმარებიან. ამერიკელები მართლაც გვეხმარებიან... ამიტომ, შეერთებულ შტატებთან ჩვენი ურთიერთობა უფრო სერიოზულია. მაგრამ ისიც ჩინებულად გვაქვს შეგნებული, რომ გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისით, ჩვენ „განწირული“ ვართ რუსეთთან მეზობლობისა და თანამშრომლობისთვის. რუსეთს კი, როგორც ჩანს, უფრო მეტად სურს ჩვენი დამორჩილება, ვიდრე თანამშრომლობა. მას ძალზე უჭირს ამ ბარიერის გადალახვა.



**— თუ გწამთ, რომ თქვენს სახელმწიფოში და მოსკოვთან ურთიერთობაში რაღაც შეიცვლება მას შემდეგ, რაც რუსეთში გაიმართება პრეზიდენტის მომავალი არჩევნები?**

— არა, არ მწამს. პირიქით, შეიძლება ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესდეს. ელიტა ხომ არ იცვლება. რუსეთის ელიტას კი მიაჩნია, რომ ქართველები უმადური ხალხია და იმის ღირსიც კი არ ვართ, რომ სალამი მოგვცენ. ამიტომ ჩვენ საერთოდ უნდა დაგვშალონ... სხვათა შორის, ამას აკეთებენ კიდეც მეტ-ნაკლები წარმატებით.

**— კონკრეტულად რით გეხმარებათ ლატვია?**

— ლატვიამ ძალზე წარმატებით განვლო პოსტსაბჭოური პერიოდი. მას შეუძლია მიგვითითოს, თუ რა შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ, და მიგვანიშნოს ევროკავშირისკენ მიმავალი უფრო მოკლე გზა. თუმცა, ეს გზა არცთუ ისე მოკლე იქნება, მაგრამ, ლატვიის წყალობით, ჩვენ მაინც შევამცირებთ დისტანციას. კერძოდ, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ის სფეროები, რომლებშიც საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების განხორციელება — კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, უშიშროების პრობლემები, საგარეო ურთიერთობის ეფექტიანი პოლიტიკა, ხელისუფლების ინსტიტუტების დახვეწა, ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრა. ჩვენ ახლა ვეძებთ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ნაბიჯების თანამიმდევრულობას. და ლატვიას ამაში შეუძლია ჩვენი დახმარება.

**— ნატოს გეზითაც?**

— დიახ, ნატოშიც. მას შეუძლია ჩვენი ინტერესების ლობირება ამ ალიანსში, დახმარება სამხედრო რეფორმების განხორციელების, ნატოში ინტეგრაციის პროცესებში პოლიტიკური დიალოგის დროს, განსაკუთრებით, ლატვიაში ნატოს სამიტის შესაძლო გამართვის კონტექსტით. ლატვიას შეუძლია ასევე გვირჩიოს, როგორ მოვიქცეთ რუსეთთან ურთიერთობაში. და ბოლოს, მას შეუძლია შეასრულოს თავისებური ხიდის როლი ნატოსა და სამხრეთ კავკასიას შორის.

**პოლინა ელქსნე,**
**„ტელეგრაფი“ (რიგა).**

ტურიზმი

# ტიტიკაკა და ტობავარჩხილი...

## მთიანი სამეგრელოს საოცრებანი

**პერუელები ამბობენ, — თუ წყნარი ოკეანისპირა ქალაქ მოლიენდოდან ტიტიკაკას ტბისკენ მატარებლით ადიხარ, ჯანმრთელობა უზადო უნდა გქონდესო, რადგან ზღვის დონიდან სულ რამდენიმე საათში მოუმზადებლად და აკლიმატიზაციის გაუვლელად თითქმის ოთხი ათას მეტრამდე ამაღლება ყველას როდი შეუძლია... ამიტომ, ვისაც ბევრი დრო არა აქვს, საჰაერო საშუალებას ირჩევენ. ასე არჩიეს ჩემმა ბრაზილიელმა მასპინძლებმაც, რომელთაც სულ რამდენიმე საათის საქმე ჰქონდათ ლა-პასში (ბოლივია) და მეც შემომთავაზეს გასეირნება. სანამ ჩემი მეგობრები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი, მე ტბის პეიზაჟით ვტკბებოდი, თან, როგორც თავისი ქვეყნიდან ძალიან შორს მყოფთ ემართებათ ხოლმე, აქაურობას ჩემი მამულის პეიზაჟს ვადარებდი.**

ანდები, ანუ როგორც მას ადგილობრივი ინკები უწოდებენ, „სპილენძის“ მთათა სისტემა სამხრეთ ამერიკის მთელ წყნარიოკეანეთის სანაპიროს გასდევს და ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში!

... ჩვენი კავკასიონიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში!

ანდები ამერიკის კონტინენტზე ყველაზე მაღალი მწვერვალებით ამაყობს!

... კავკასიონიც ყველაზე მაღალი მთებითაა ცნობილი ევროპაში!

ტიტიკაკას ტბა ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს მსოფლიოში და ინკების ქვეყნის საუკუნოვან ლეგენდებზე მოგვითხრობს!

... კავკასიონზეც ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს ტობავარჩხილის ტბაც და აქაური ლეგენდები ათასწლეულებიდან მოდის!

ტიტიკაკა მდინარე დესაგუადეროთი უერთდება კიდევ ერთ მაღალმთიან ტბას პოოპოს!

... ტობავარჩხილი, როგორც ლეგენდები გვიყვებიან, მიწისქვეშეთით უერთდება პატარა ტობავარჩხილს!

გარდა ამისა, იქ, შორეულ პერუში თუ ბოლივიაში, არავის სმენია რძისფერი ტბის შესახებ! — თეთრი „წაქაწყარი“!

ასე და ამგვარად, ვავლებ პარალელებს და ვამჩნევ, ტობავარჩხილი უფრო ლეგენდარულია, ვინემ ტიტიკაკა და პოოპო! ოღონდ ერთი კია — ამდენი მნახველი არა ჰყავს ჩვენს ბუნებრივ საოცრებებს, არავის გადაუღია ამდენი ფოტო და კინოფილმები და მსოფლიოსთვის მოუდვია ამბავი მათი მიმზიდველობისა!



ინწირას ხეობა უჩატობასთან

იქნებ, ჩვენ ვცადოთ, მაინც:

ზუგდიდიდან 28 კილომეტრშია ქალაქი ჯვარი; ჯვარიდან აღმოსავლეთით არის სოფელი ჩქვალერი. ჩქვალერს მდინარე ჩაუდის — ინწირა! რომელსაც პირველყოფილი, საოცარი ულამაზესი კანიონი შეუქმნია მილიონობით წლების მანძილზე და ლეგენდებით გაუვსია კალთა-სამანი.



მდინარე ინწირას კანიონი

მდინარე ინწირას სათავეებიდან წიფლნარსა და მუხნარს მიუყვება ბილიკი და ფეხით მოსიარულე ორიოდე საათში ამოვა ყვირას მთამდე (ზღვის დონიდან 2038 მ). ნათელ შუბლსა ჰგავს ყვირას მთა. ნაძვნარით შემორტყმული ალპური ზოლი მთელს კოლხეთს გადაჰყურებს და აქედან თვალწარმტაცი ხედი იშლება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აქ დგას უნიკალური საოცრება, — კლდე-ლოდი, რომელსაც, თუ ძალუმად მიაწვები, ძვრას ვერ უზამ, ოდნავ შეხებაზე კი, ქანაობს! მას „ქუაქანცალიას“ — მოქანავე კლდეს უწოდებენ და ბუნების საოცრებათა სიაშია შესული.

ერთხელ, უხსოვარ დროში, თურმე, ენგურს გაღმა აღმართულ ახოჩქუეს მთაზე ავსული დევი გამოჩენილა. ყვირას მთიდან არამხუტუმ მას უზარმაზარი ლოდი ესროლა და... მათ შორის შერკინება დაიწყო. სადაც ეს ლოდი დაეცემოდა, იქ ჭები ჩნდებოდა. ბოლოს, არამხუტუმ მოკლა დევი და ქვეყანა გაათავისუფლა ავსულისაგან. თვითონაც დაიჭრა. ლოდი ყვირას მთის წვერზე, ერთ გადაშლილ მინდორზე დადო და მწვერვალ ჭითაგვალას (წითელი მთა — ზღვ. დ. 3226 მ) სანახებში მოკამკამე ტბაში მოიბანა იარა. მას შემდეგ ეს ტბა ვერცხლივით წმინდა ტბადაა აღიარებული და „ტობავარჩხილი“ ჰქვია (ზღვის დონიდან 2650 მ).

„ქუაქანცალიადან“ „ტობავარჩხილამდე“ ორი დღის სავალია ქვეითი ტურისტისთვის. ინწირას კანიონიდან „ქუაქანცალიამდე“ კი კიდევ ორი დღის... ასე რომ, ჩქვალერიდან გამოსული მეოთხე დღეს ჭითაგვალაზე იქნებით. გზად ყვირას მთის უფსკრულოვან ფლატეზე გადმოკიდებულ ბილიკს ჩაათავებთ, მდინარე მაგანას უმშვენიერეს ხეობას ნახავთ და ოთხი ღამისთევით „ჭითაგვალაზე“ ამოხვალთ.

აქედან ორი ტურისტული გზაა — მარცხნივ სვანეთი, სვანური კოშკები და ენგურის „ზღვა“ ელოდება მნახველს. მარჯვნივ კი, მდინარე ხობისწყლის ზღაპრული კანიონი, 29-კილომეტრიანი გზაწვრილი, „შურუბუმუს“ სტალაქტიტებიანი მიწისქვეშა დარბაზებითა და ტალანებით!..

მერე კი, ჩხოროწყუ-წალენჯიხა-ზუგდიდი-სენაკის ახალდაგებული წრიული გზაშარა უძველეს კოლხთა დედაქალაქთან, არქეოპოლისთან შეიკვრება და ტურისტ სტუმრებს მოუყვება უხსოვარი დროის ამბებს. ამჯერად კი, ჩხოროწყუელ ენთუზიასტთა რუდუნებით ეს სანახები უკვე იხილეს ჰოლანდიელმა, ფრანგმა, გერმანელმა „მზვერავმა“ ტურისტებმა. პერსპექტივა დიდია და სარფიანი, ოღონდ სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა ამ საქმეს!

... ტიტიკაკაზე განცდილი და ნანახიც კი გაფერმკრთალდება, რადგან ასეთ რამეს ნაკლებად თუ იხილავს ადამიანის თვალი!

**ზაურ ფიფია,**
**„სრ“ სპეც. კორ.**
**ჩხოროწყუ — თბილისი.**

# გაშიფრული ნაწნავიანი ქალბატონი

## პოლიტიკური სკანდალი უკრაინაში მაკომპრომეტირებელი მასალების ომში გადადის

**უკრაინას კვლავ აზანზარებს პოლიტიკური კრიზისი. ამოტივტივდა პრემიერ იულია ტიმოშენკოს გადადგომის სულ ახალ-ახალი წვრილმანები. ირკვევა, რომ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ბოლო მომენტამდე არ უნდოდა მისი მოხსნა და ბრალდებების — ქვეყნის მეთაურის გარშემო კორუფციონერები შემოკრბნენო — გაქარწყლებას მხოლოდ რამდენიმე მინისტრის გაშვებით აპირებდა.**

7 სექტემბერს, საღამოს, „ნარინჯოვანი“ რევოლუციის ლიდერმა სწორედ ასეთი განკარგულებები გასცა, მეორე დილით კი ყველაფერი შეცვალა და მთელი მთავრობა გადააყენა, ტიმოშენკოიანად. კი მაგრამ, რა მოხდა ღამით?

9 სექტემბერს „კომსომოლსკაია პრავდას“ გადაეცა ქალბატონი იულიას 30 აგვისტოს სატელეფონო საუბრის განაშიფრი პროტექესთან, გავლენიანი ბიზნეს-ჯგუფის „Приват“-ის მეთაურთან იგორ კოლომოისკისთან, რომელიც ბოლო დროს დაკავებული გახლდათ უკრაინის ქარხნების გადანაწილებით: ყოფილი პრეზიდენტის კუჩმას, პრემიერ იანუკოვიჩისა და რუსეთელი ბიზნესმენების ხელიდან გამოგლეჯითა და „ნარინჯისფერთათვის“ გადაცემით.

გაშიფვრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსაუბრენი იუშჩენკოს „მუწუკებიანიო“, მხოლოდ ასე მოიხსენიებენ. კიევში ხმები დადის: მთავრობის გადადგომის წინა ღამეს იუშჩენკომაც წაიკითხა ხსენებული განაშიფრი, რამაც იმდენად განარისხა, რომ გააბედვინა კიდევაც ხელისუფლების ოლიმპიდან ნაწნავიანი პრემიერის სამარცხვინო დაგორება.



### სწორედ ის განაშიფრი

**იულია ტიმოშენკო:** იგორ, შენ არ გესმის. მე აქ ეკლებზე ვზივარ, პოროშენკო კი (უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანი, ტიმოშენკოს მთავარი კონკურენტი — **რედ.**) გამუდმებით დადის პრეზიდენტთან და უყვება, რა კახპაცა ვარ და როგორ ვუთხრი ძირს... იგორ, თუ გეშინია, თქვი, რა!

**იგორ კოლომოისკი:** არ მეშინია. სამი ქვეყნის მოქალაქე ვარ, რისი უნდა მეშინოდეს. შენ რომ ცოტა უფრო მიმწოლი ყოფილიყავი, ამ ცირკს მაისში მოვაგვარებდით, სანამ მუწუკება შვებულებაში იყო.

**ი. ტ.:** ახლაც ხომ პოლონეთშია. რა გინდა ჩემგან? მოდი, პირდაპირ მითხარი, მთავრობის მხარდაუჭერლად როდის გიცხოვრია? [illegible] სიხარულით გიმზადებდა სისხლის სამართლის საქმეს? როცა კიევის სასამართლოსთან გქონდა პრობლემები, მირეკავდი და ყურმილს მილოკავდი, ყველაფერი დაილუპაო, ვინ დარეკა სასამართლოში? უმაღლეს სასამართლოსთან როცა გქონდა საქმე — ვინ მიაღწია მოსამართლეთა აცილებას? ზვარიჩის (უკრაინის იუსტიციის მინისტრი — **რედ.**) მეშვეობით? არც გესმის, როგორ მიმძიმს. მუწუკებამ უკვე ორჯერ დამირეკა, მეკითხებოდა, რა ხდება და რატომ გდებენ ბრალს მაგ კაცთან კავშირშიო... შენ რა გგონია, რისთვის ვაკეთებ ამას?

**ი. კ.:** ვფიქრობ, იმ 180 მილიონისთვის, შენ რომ „გეწვეთება“. თუმცა ყველაფერი გავიგე, დამ- [illegible]

### გაზეთის თვალსაზრისი

*ქალბატონ ტიმოშენკოს სატელეფონო საუბრის მოსმენის ნამდვილობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. იუშჩენკო მას საექსპერტიზოდ გადასცემს, როგორც ჩანს, იმ შემთხვევაში, თუ ყოფილი პრემიერი ოპოზიციის შეკოწიწებას დაიწყებს. ჰოდა, მაშინ გაუხსენებენ კიდევაც 180 მილიონს. ჯერ კი თავის შერცხვენაა. არაფრად სჭირდება ქვეყანას, რომ „მუწუკებაზე“ დამატებით მოასმენინო...*

**„კომსომოლსკაია პრავდას“ საიტზე, 419 კაცის მონაწილეობით, გამოკითხვა მოეწყო: რას ფიქრობთ უკრაინაში კრიზისზე?**

| | |
|---|---|
| **მოხარული ვარ, რომ მაიდანი ჩაფლავდა** | **— 51 პროც.** |
| **ჩემთვის სულ ერთია** | **— 20 პროც.** |
| **ყოჩაღ, იუშჩენკო! აახვევინა ქარაფშუტა პრემიერს** | **— 15 პროც.** |
| **მეწყინა, მეგონა, რომ მაგათ ყველაფერი გამოუვიდოდათ** | **— 8 პროც.** |
| **ცოდვა ტიმოშენკო, საზურგეთად სასიამოვნო ქალი იყო** | **— 6 პროც.** |

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА 10 სექტემბერი.


# განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს სამგზავრო ვაგონის გამყოლის და მატარებლის უფროსის თანამდებობებზე თანამშრომელთა რეზერვის შექმნის მიზნით, მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივით.**

**კონკურსის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**

1. ავტობიოგრაფია;
2. ფოტოსურათი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
5. საკონტაქტო ტელეფონი.

სასურველია უმაღლესი განათლება და უცხო ენის ცოდნა.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი-2 (თბილისის ცენტრალური ვაგზლის ადმინისტრაცია), ტ. 56-42-33.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებლებმა მიმართონ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქიქავას ქ. № 5, ტ. 7-55-24, 56-16-24.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 12 სექტემბრიდან 2005 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 18 საათამდე.**

**შპს „გეო-ინჟ-ეკო სერვისი“ აცხადებს ლიკვიდაციის შესახებ. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, მიმართონ შემდეგ მისამართზე: თბილისი, მოსაშვილის ქ. 24. ტელ/ფაქსი: 25-01-14.**

# სააქციო საზოგადოება „თელასის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

# შეტყობინება

## (განმეორებითი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ)

წინამდებარე შეტყობინებით გაცნობებთ სს „თელასის“ აქციონერთა განმეორებითი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ, რომელიც არასაკმარისი კვორუმის გამო 2005 წლის 31 აგვისტოს არ შედგა. ამჟამად ჩვეულებრივი აქციის მფლობელ აქციონერებს [illegible]

1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების განხორციელება.
2. სხვადასხვა.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან [illegible]

სს „თელასის“ ადმინისტრაცია

## Sps `saqarTvelos rkinigza~ acxadebs konkurss mis balansze ricxuli gamouyenebeli arasacxovrebeli farTebis droebiT sargeblobaSi gadacemis mizniT

1. ქ. სამტრედია, თამარ მეფის №1-ში მდებარე სადგურ სამტრედიის შენობის II-ზალა. საიჯარო ფართი შეადგენს 9 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 20.7 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 46 ლარს.

2. ქ. სამტრედია, კაკაბაძის ქუჩა №33-ში მდებარე, სამტრედიის სავაგონო დეპოს ადმინისტრაციული შენობის I-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 30 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 43.8 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 96 ლარს.

3. ქ. ზესტაფონი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №2-ში მდებარე სადგურ ზესტაფონის შენობის I-სართული. საიჯარო ფართი შეადგენს 32 კვ.მ. საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 46.72 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 104 ლარს.

4. ქ. სამტრედია, რუსთაველის №28-ში მდებარე, სამტრედიის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის II-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 13 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 29.9 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 66 ლარს.

5. ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის პროსპექტი №37-ში მდებარე, სადგური ქუთაისი-II-ის ადმინისტრაციული შენობის II-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 19 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 43.7 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 96 ლარს.

6. ზუგდიდის რაიონი, სოფელ ინგირის სადგურის შენობა (ფოიე), საიჯარო ფართი შეადგენს 4 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 5.84 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 14 ლარს.

7. ზუგდიდის რაიონი, სოფელ ინგირის სადგურის შენობა (ფოიე), საიჯარო ფართი შეადგენს 5 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 7.3 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 16 ლარს.

8. ზუგდიდის რაიონი, სოფელ ინგირის სადგურის შენობა (ფოიე), საიჯარო ფართი შეადგენს 5 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 7.3 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 16 ლარს.

9. ქ. ზუგდიდი, მესხიას ქუჩა №31-ში მდებარე, ზუგდიდის სადგურის შენობა, საიჯარო ფართი შეადგენს 4 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 5.84 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 14 ლარს.

10. ქ. ზუგდიდი, მესხიას ქუჩა №31-ში მდებარე, ზუგდიდის სადგურის შენობა, საიჯარო ფართი შეადგენს 15 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 21.9 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 48 ლარს.

11. ქ. სამტრედია, რუსთაველის №28-ში მდებარე სამტრედიის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის I-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 10 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 23 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

12. ქ. სამტრედია, რუსთაველის №28-ში მდებარე, სამტრედიის წარმომადგენლობის შენობის I-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 13 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 29.9 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 66 ლარს.

13. ქ. სამტრედია, თამარ მეფის №1-ში მდებარე სადგური სამტრედიის ვაგზლის შენობის I-სართულის II-ზალა, საიჯარო ფართი შეადგენს 7 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 16.1 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 36 ლარს.

14. ქ. სამტრედია, რუსთაველის №28-ში მდებარე სამტრედიის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის I-სართული, საიჯარო ფართი შეადგენს 33 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 75.9 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 166 ლარს.

15. ქ. მცხეთა, თაყაიშვილის ქუჩა №12-ში მდებარე, სადგური მცხეთის შენობა, საიჯარო ფართი შეადგენს 8.32 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 12 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 28 ლარს.

16. ქ. თბილისი, მ. ქავთარაძის ქუჩა №11-ში მდებარე, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ცენტრალური ბაზის შენობა, საიჯარო ფართი შეადგენს 49.59 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 123.96 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 272 ლარს.

17. ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქუჩა №160-ში მდებარე, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის შენობის სხვენი, საიჯარო ფართი შეადგენს 15 კვ.მ. საწყისი საიჯარო ქირა თვეში შეადგენს 70.5 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარებში. „ბე-ს" ოდენობა შეადგენს 150 ლარს.

საკონკურსო პირობები:

იჯარის მინიმალური ვადა 2 წელი, მაქსიმალური ვადა 5 წელი.

მოიჯარის მიერ აღებულ ფართზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების ჩატარება;

ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარული ნორმების დაცვა;

ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

მოიჯარე, 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიშს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

შპს „საქართველოს რკინიგზის" დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს საკუთარი მიზნებისთვის ესაჭიროება საიჯარო ობიექტი მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს დაკავებული ფართი.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს „მოიჯარის" თანხმობა გამოცხადებული პირობების შესრულებაზე და კონკრეტული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს გამოცხადებულ საწყის წლიურ ქირაზე ნაკლები;

2. მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ;

3. „ბე-ს" გადახდის ქვითარი, რომელიც გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის" საანგარიშსწორებო ანგარიშზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრალური ფილიალი ა/ა №3407003205 ბანკის კოდი №220101757 საიდენტიფიკაციო კოდი №202886010;

4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

6. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს

კომუნალურ გადასახადებს იხდის მოიჯარე;

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ წიგნში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს;

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს;

განმცხადებელმა განაცხადის ფორმაში უნდა მიუთითოს თუ რა ვადით სურს ფართის იჯარით აღება (არანაკლებ 2 წლის და არაუმეტეს 5 წლის ვადით).

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა;

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადები მიიღება კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-სთ-დან 17 სთ-მდე, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 შპს „საქართველოს რკინიგზის", ადმინისტრაციული შენობა, ტელ. 565318

კონკურსი ჩატარდება 2005 წლის 19 ოქტომბერს 12 სთ.-ზე შპს „საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში;

მონაწილეს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას;

კონკურსის შედეგები ცხადდება კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს

5 სამუშაო დღის განმავლობაში;

ოქმი მტკიცდება კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში;

ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული ვალდებული გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის შედეგები გაუქმდება და "ბე" არ დაუბრუნდება;

მოიჯარეს გადახდილი „ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად;

საიჯარო ხელშეკრულების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების წარმოდგენის ხარჯებს იხდის კონკურსში გამარჯვებული.

შენიშვნა: საიჯარო ქირა მოცემულია დღგ-ს გარეშე



პირველი კომერციული ბანკი
FIRST COMMERCIAL BANK

## შეტყობინება

### სააქციო საზოგადოება „პირველი კომერციული ბანკის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ

სააქციო საზოგადოება „პირველი კომერციული ბანკის" დირექტორატი გატყობინებთ, რომ ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2005 წლის 6 ოქტომბერს, 18 საათზე, ბანკის საქმიან ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. №114.

შემდეგი დღის წესრიგით:

**1. ცვლილებები სს „პირველი კომერციული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სახელფასო განაკვეთების განსაზღვრა.**

**(მომხსენებელი რ. სურამელაშვილი)**

**2. სს „პირველი კომერციული ბანკის" სარევიზიო კომისიის მესამე წევრის არჩევა.**

**(მომხსენებელი რ. სურამელაშვილი)**

დღის წესრიგის გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „პირველი კომერციული ბანკის" დირექტორატში.

დღის წესრიგთან დაკავშირებით, აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსთან, როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2005 წლის 26 სექტემბრამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მისაღებად მოწვეულნი არიან (სააღრიცხვო თარიღი):

– ბანკის აქციების მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან ბანკის აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი", 2005 წლის 30 სექტემბრის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა. წ. 26 სექტემბერს 10 საათიდან 5 ოქტომბრის 18 საათამდე მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74ა, დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „რეგისტრი".

**რ. სურამელაშვილი,**
**სააქციო საზოგადოება**
**„პირველი კომერციული ბანკის"**
**გენერალური დირექტორი.**
**2005 წლის 17 სექტემბერი.**


ფეხბურთი

# ბოლო წუთის ფასი

**ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის რაუნდში სამი მატჩის ბედი საფინალო სასტვენის წინ გადაწყდა ბრძოლა რომ ბოლომდეა საჭირო, უკვე მერამდენედ, ბერგკამპმა, მიკოლიმ და სნეიდერმა დაამტკიცეს. ამდენივეჯერ მსაჯებს წითელი ბარათის აფრიალებაც მოუხდათ – მინდვრიდან გაძევების „პატივი" ვიეირას, რუნის და ვან ჰერსის ხვდათ წილად. ვიხილეთ გამოუყენებელი პენალტიც – მოსკოვის „ლოკომოტივის" დამაარსებელმა ვალახოვიჩმა ფსიქოლოგიური დუელი წააგო კანთან, ბურთი კარს ააცილა (81-ე წუთზე) და ვენის „რაპიდი" არა მარტო უქულოდ, უფულოდაც დატოვა – ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოპოვებული თითოეული ქულა ხომ საკმაოდ ძვირად ფასობს.**



**„ა" ჯგუფი**

**„რაპიდი" – „ბაიერნი" 0:1.**

**გოლი: გერერო.**

**„ბრიუგე" – „იუვენტუსი" 1:2.**

**გოლები: მატონდო; ნედვედი, ტრეზეგე.**

ბევრის აზრით, ამ ჯგუფში დღესვე შეიძლება შეხვედრების შეწყვეტა და გათამაშების ფავორიტებისათვის მერვედფინალისტობის მიკუთვნება. მართლაც, ვინც თვალყურს ადევნებს ბუნდესლიგისა და „სერია – ა"-ს პერიპეტიებს, დამეთანხმება, რომ „ბაიერნიც" და „იუვენტუსიც" დიდებულად შეხვდნენ ახალ სეზონს და ფაქტია, მხოლოდ საშინაო ფრონტზე ლიდერობას არ დასჯერდებიან.

**„ბ" ჯგუფი**

**„სპარტა" – „აიაქსი" 1:1.**

**გოლები: მატუსოვიჩი; სნეიდერი.**

**„არსენალი" – „თუნი" 2:1.**

**გოლები: ჟილბერტო სილვა, ბერგკამპი; ფერეირა.**

რთული პერიოდი უდგას ჰოლანდიურ გრანდს – ბლინდის გუნდი ერედივიზიონის სატურნირო ცხრილის შუაგულის ბინადარია! „აიაქსში" რომ ბევრი პრობლემა დაგროვდა, პრაღაშიც დადასტურდა – ჩვენს ძველ ნაცნობთან ანგარიში სტუმრებმა, როგორც წერილის შესავალში უკვე გაუწყეთ, მხოლოდ ცაიტნოტში გაათანაბრეს. არანაკლებ უჭირთ „იუვენტუსში" გაყიდული ვიერასა და ტრავმირებული ანრის გარეშე დარჩენილ „მეთოფეებსაც". აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ „ჰაიბერიზე" თითქმის გამომცხვარი სენსაცია, სადაც ელიტური საზოგადოების დებიუტანტი შვეიცარიული კლუბი კარგა ხანს ვაჟკაცურად უმკლავდებოდა მასპინძლებს.

**„გ" ჯგუფი**

**„ვერდერი" – „ბარსელონა" 0:2.**

**გოლები: დეკუ, რონალდინიო (პენალტით).**

**„უდინეზე" – „პანათინაიკოსი" 3:0.**

**გოლები: იაკუინტა (3).**

ეტყობა, რაიკაარდმა ბოლოს და ბოლოს მიაგნო კატალონიელთა აქილევსის ქუსლის წამალს – წლეულს „ბარსელონას" დაცვა ჯერაც შეუვალი რჩება. ეს ეხება როგორც პრიმერა – დივიზიონს, ისე ჩემპიონთა ლიგასაც, სადაც ვალდესი „მშრალ" სერიას განაგრძობს. არადა, საკმაოდ მოლონიერებული შააფის გუნდის სახით სტუმრებს მრისხანე გამომცდელი ჰყავდათ. თუმცა, გასათვალისწინებელია კლოზეს არყოფნა, რამაც საგრძნობლად დაასუსტა ბრემენელთა შეტევა. რაც შეეხება „უდინეზეს" ბრწყინვალე სტარტს, მოსალოდნელიც იყო – ეს გუნდი ხომ ჯერჯერობით იტალიის ჩემპიონატშიც უდანაკარგოდ თამაშობს.

**„დ" ჯგუფი**

**„ვილიარეალი" – „მანჩესტერი" 0:0.**

**„ბენფიკა" – „ლილი" 1:0.**

**გოლი: მიკოლი.**

ამთავითვე თამამად შეიძლება ითქვას – მეტნაკლებად თანაბარი ძალების კლუბებით დაკომპლექტებულ ამ ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ბოლომდე მძაფრი ბატალიები გაჩაღდება.

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# „ბორჯომის თასზე"





**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე ორშაბათს დაიწყო პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასზე" 10-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით. ძირითად ბადეში 11 ქვეყნის 32 სპორტსმენი მოხვდა, მათ შორის ხუთი საქართველოს წარმომადგენელი გახლდათ.**

პირველ წრეში პერსონალურად მოწვეული სოფიკო ქვაცაბაია ბელგიელ ჩოგბურთელს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ლობინგერი თბილისში ვერ ჩამოვიდა და იგი ერევნელმა ოფელია პოღოსიანმა შეცვალა. ქართველ ჩოგბურთელს სომხური ბარიერის დაძლევა არ გასჭირვებია – ორ ხელში იოლად მოუგო – 6:3, 6:0.

გერმანელი ჩოგბურთელი რია დოერნემანი ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვდა. იგი საერთაშორისო რეიტინგში 828-ეა, თუმცა, ჩვენს ურეიტინგო, მაგრამ უაღრესად ნიჭიერ ახალგაზრდა მანანა შაფაქიძეს ვერაფერი მოუხერხა. ქართველ ჩოგბურთელს ამ დღეებში თანატოლთა ევროპის პირველობაზე უნდა ესპარეზა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით კი იგი თბილისის ტურნირში ჩაება და პირველ წარმატებასაც მიაღწია – ადვილად სძლია გერმანელს – 6:2, 6:2.

ასპარეზობის მეორე დღე ქართველი ჩოგბურთელებისთვის უიღბლო გამოდგა, რადგან სამი მონაწილიდან ორმა მომდევნო წრეში ვერ გააღწია. პირველ ნომრად განთესილმა მაკა ჩახნაშვილმა თვალის დახამხამებაში მოუგო რუს სვეტლანა სმირნოვას – 6:1, 6:1.

უკრაინელი ვიქტორია სემიროდენკო ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით კი მოხვდა, თუმცა, სოფიკო შაფათავას დასამარცხებლად ორი სეტი ეყო – 6:3, 6:2.

სოფიკოს ბედი გაიზიარა თეონა ცერცვაძემაც. არადა, ამერიკელ შერილ გერშონთან შეხვედრისას პირველი ხელი ქართველი ჩოგბურთელის უპირატესობით წარიმართა. იგი 5:3 დაწინაურდა კიდეც და სეტის მოსაგებად ერთი გეიმიღა სჭირდებოდა. სამწუხაროდ, თეონამ ეს ვერ შეძლო და 5:7 დანებდა ამერიკელს. მეორე ხელი ათლეტურმა ოკეანისგაღმელმა ძალების დაუძაბავად მოიგო 6:2 და მომდევნო წრეში გავიდა.

გუშინ ერთეულთა თანრიგის რვა ორთაბრძოლა გაიმართა. გთავაზობთ მათს შედეგებს:

მაკა ჩახნაშვილმა ორ სეტში გაანადგურა (6:0, 6:0) უკრაინელი ვიქტორია სემიროდენკო და სოფიო შაფათავას დამარცხებისთვის ჯავრი იყარა. წარმატებას მიაღწია 15 წლის მანანა შაფაქიძემაც. პირველ ხელს იგი 1:4-ს აგებდა, მაგრამ საბოლოოდ ტაიბრეიქებში სძლია მე-5 ნომრად განთესილ უკრაინელ ნატალია ბოგდანოვას 7:6(4). მეორე სეტის მოსაგებად კი დიდი ჯაფა არ დასჭირდა – 6:1. სამწუხაროდ, სოფიო ქვაცაბაია გერმანელ პაოლა შფროვერთან დამარცხდა – 0:6, 1:6. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ტატიანა კაპშაი (ბელარუსი) – ვერონიკა კაპშაი (უკრაინა) – 3:6, 3:6, ირინა კოტკინა (რუსეთი) – ვივიან სენინი (ბრაზილია) – 6:1, 6:2. ანა ლაპუშჩენკოვა (რუსეთი) – ევგენია როდინა (რუსეთი) – 6:1, 1:6, 1:6, ვასილისა დავიდოვა (რუსეთი) – ირინა მალაშოკი (უკრაინა) 6:1, 6:1, შერილ გერშონი (აშშ) – ოქსანა ტეპლიაკოვა (უკრაინა) – 2:6, 3:6.

დღეს მეოთხედფინალში ითამაშებენ: ჩახნაშვილი-კაპშაი, კოტკინა-როდინა, შფროვერი-დავიდოვა, შაფაქიძე-ტეპლიაკოვა.

**სურათზე მანანა შაფაქიძე.**
**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ძიუდო

# „ისევ იმ გუნდს წავიყვანდი"

**ამას წინათ კაიროში დამთავრებულმა ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატმა გულდაწყვეტილი დატოვა სპორტის ათასობით ქართველი გულშემატკივარი, ამ სახეობის მესვეურთ კი მრავალი თავსატეხი და საფიქრალი გაუჩინა. როგორც შევიტყვეთ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტზე პასუხისმგებელ პარლამენტარებს ეგვიპტის დედაქალაქშივე მწვავე საუბარი ჰქონიათ ძიუდოს ხელმძღვანელებთან.**



არც არის გასაკვირი. ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულებით, ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ათენის ოლიმპიადის შემდეგ 70-ზე მეტი ტატამია შეძენილი და დარიგებული სხვადასხვა რეგიონში. ძიუდოისტების სავარჯიშოდ გარემონტდა ათობით დარბაზი. ეროვნულ ნაკრებს შეუქმნეს შესანიშნავი საწვრთნელი და სხვა პირობებიც. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ პასუხი მოგთხოვონ წარუმატებლობისთვის. დიახ, სხვაგვარად წარმოუდგენელია შეაფასო კაიროში მოპოვებული ერთადერთი ბრინჯაოს მედალი.

გუშინწინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზეც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმაც უკმაყოფილება გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგის გამო. თუმცა სინანულით ისიც დასძინა, რომ დავით მარგოშვილმა (66 კგ.) და გიორგი ყიზილაშვილმა (აბსოლუტური) ხელიდან გაუშვესო მედლების მოპოვების რეალური შანსი. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია მარგოშვილის მარცხი, რადგან ნახევარფინალში იგი დიდი უპირატესობით უგებდა ბრაზილიელ ჟოაო ჟუნიორს, რომელიც შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. დათოს წამიერი მოდუნება იპონის ფასად დაუჯდა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვრცლად ილაპარაკა ათენის ოლიმპიადის გმირებზე – ზურაბ ზვიადაურსა და ნესტორ ხერგიანზე:

– მართალია, ზვიადაური ტრავმირებული წავიყვანეთ კაიროში, მაგრამ მის მარცხში ტრავმა არ არის დამნაშავე. ერთი პირობა ვიფიქრე, იგი ცირეკიძით შემეცვალა. კიდევ კარგი, ეს რომ არ გავაკეთე, თორემ ზვიადაურის ჩემპიონატზე გამოუყვანლობას არავინ მაპატიებდა. თანაც ცირეკიძემ ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ წააგო და ჩვენი იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა. ზვიადაურის ამჟამინდელი მარცხი თვით სპორტსმენისთვის იქნება ჭკუის სასწავლი: უფრო მეტად გაუფრთხილდება საკუთარ პრესტიჟს და პეკინის ოლიმპიადისთვისაც უკეთ მოემზადება. ნესტორ ხერგიანზე კი იმას ვიტყვი, რომ ნაკრებში იგი ჯერჯერობით უალტერნატივოა და, ასაკის მიუხედავად, ყოველგვარი შანსი აქვს, 2008 წლამდე მტკიცედ დაიბევოს ნაკრებში ადგილი. თუმცა, წინ კიდევ სამი წელიწადია.

ძალიან გაგვახარა ლაშა გუჯეჯიანის წარმატებამ. შარშან ოლიმპიადის შემდეგ მან ახალგაზრდებში ორჯერ ისახელა თავი. მსოფლიო ჩემპიონატზე კი აღიარებულ ფავორიტებსაც არ დაუდო ტოლი. ისეთებს, როგორებიც არიან ვან დერ გესტი, აბდულო ტანგრიევი, პაოლო ბიანკერი. მისი ბრინჯაოს მედალი „ოქროს" ტოლფასია. ლაშა დიდი შესაძლებლობების ფალავანია და მომავალშიც არაერთხელ გვასახელებს. რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებებს, ალბათ, 81 და 100 კილოგრამ წონით კატეგორიებზე მეტი ზრუნვა მოგვიწევს. ერთსაც დავძენ: ყოველივე ზემოთ თქმული თავის მართლებად რომ არ ჩამეთვალოს, ალალად გეტყვით – ხვალ რომ მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდეს, ისევ იმ ნაკრებს წავიყვანდი. ჩემს ხელთ არსებულ ათლეტთა შორის, ფაქტობრივად საუკეთესოები შევარჩიე.

სპორტსმენების შემდეგ ნაკრების თავკაცი ჩვენს მწვრთნელებსა და არბიტრებსაც შეეხო. ამ მიმართულებით ბევრი ხარვეზი გვაქვს და უნდა გამოვასწოროთო, აღნიშნა ისიც, რომ მოსალოდნელია ცვლილებები სამწვრთნელო შტაბში. მისი თქმით, შეკრებებში უკვე ჩართეს ახალგაზრდა მწვრთნელები – გურამ მოდებაძე, ამირან ტოტიკაშვილი და გიორგი თენაძე...

იმედია, ძიუდოს ფედერაცია სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს. მომავალში ასეთი ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად.

**ვაჟა დანელია**

# მეოთხე, რიგგარეშე



**წელიწადიც არ გასულა საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის მესამე ყრილობიდან, რომელიც შარშან ოქტომბერში გაიმართა. ამ ხნის მანძილზე ორგანიზაციაში ბევრი ცვლილება მოხდა, რომელთა დაკანონება ყრილობაზე იყო აუცილებელი.**

დარგის პროფკავშირის მიერ განვლილ 11 თვეში გაწეული მუშაობა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ იროდი ბეჟაშვილმა შეაჯამა. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს დადებითთან ერთად ხარვეზებიც და დასახეს მათი აღმოფხვრის გზებიც. დელეგატებმა ცვლილებები შეიტანეს წესდებაში, გადაახალისეს გამგეობისა და საბჭოს შემადგენლობები, აირჩიეს საქართველოს პროფკავშირების რიგგარეშე მე-7 ყრილობის დელეგატები: იროდი ბეჟაშვილი, დილარ ხაბულიანი, შოთა ხაბარელი, იმედა ხუციშვილი, ილია რეხვიაშვილი, გელა ჩიქოვანი, ზაზა დოლიძე, დემურ ჭაფოძე, ნარგიზა მესხი, მურთაზ მნათობიშვილი, მორის სახვაძე, გივი ბოსტოღანაშვილი, არჩილ სანაძე, დავით კინწურაშვილი და დემურ ლორთქიფანიძე.

სპორტულ ორბიტაზე

## უკან და უკან მივიწევთ

**თუმცა ფიფას მორიგი ახალი რეიტინგის პირველ ათეულში არსებითი ცვლილება არ მომხდარა, თუ არ მივიჩნევთ მე-15 საფეხურიდან მეათეზე შვედეთის გადმონაცვლებას, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველომ კიდევ ერთი ნაბიჯი გააკეთა უკან და 103-დან 104-ე ადგილზე აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი თანაჯგუფელებიდან თურქეთმა ისევ მეთორმეტე ადგილი შეინარჩუნა, ხოლო დანიამ ოთხი საფეხურით წინ წაიწია და მეთორმეტე ადგილზე აღმოჩნდა, დიდი დამარცხებების მიუხედავად 148-ე ადგილიდან ორი ნაბიჯი წინ გადადგა ყაზახეთმაც, ხოლო ერთი ალბანეთმა (86-ე). ჩვენს მსგავსად უკუსვლა აქვთ საბერძნეთსაც და უკრაინასაც, პირველს ორი საფეხურით – (მე-20), ხოლო მეორეს – სამით – (39-ე).**

აი, როგორ გამოიყურება ნაწილობრივ მსოფლიო რეიტინგი ჩვენი ქვეჯგუფის ჩათვლით:

1. (1) ბრაზილია – 839
2. (3) ჰოლანდია – 785
3. (2) არგენტინა – 778
4. (4) ჩეხეთი – 777
5. (5) მექსიკა – 771
6. (9) საფრანგეთი – 770
7. (6) აშშ – 768
8. (8) ესპანეთი – 750
9. (9) პორტუგალია – 743
10. (15) შვედეთი – 740
12. (12) თურქეთი – 731
14. (18) დანია – 721
20. (18) საბერძნეთი – 699
39. (36) უკრაინა – 636
86. (87) ალბანეთი – 514
104. (103) საქართველო – 461
146. (148) ყაზახეთი – 304.

## ტაისონმა რუსული ფორმა მოიზომა

**გუშინწინ მოსკოვის სახელმწიფო უნივერმაღში გაიმართა რუსეთის ოლიმპიური ნაკრების სპორტული ტანსაცმლის Bosco Sport ახალი კოლექციის პრეზენტაცია.**

ამ დღეს მოსკოვის მთავარ სავაჭრო ცენტრში გაიხსნა ოლიმპიური ტანსაცმლის სპეციალიზებული მაღაზია, რომლის ერთ-ერთი პირველი მყიდველი იყო რუსეთის დედაქალაქში სტუმრად მყოფი ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი.

„რკინის მაიკს" ისე მოეწონა ახალი ოლიმპიური კოლექცია, რომ გადაწყვიტა ზოგიერთი მათგანის შეძენა. ბუნებრივია, სახელგანთქმულ მოკრივეს ის ყველაფერი აჩუქეს.

## „სიყვარულის ამერიკული ისტორია"

**ასე უწოდეს ჟურნალისტებმა სახელგანთქმული ველოსიპედისტის ლენს არმსტრონგისა და როკ-მომღერლის შერილ კროუს ურთიერთობას.**

არმსტრონგი პოპულარული ველორბოლის „ტურ დე ფრანსის" შვიდგზის გამარჯვებულია, კროუ – მთელს მსოფლიოში ცნობილი მომღერალი, მსახიობი და კომპოზიტორი. მან მუსიკის წერა ჯერ კიდევ 16 წლისამ დაიწყო, მაშინვე სცადა ბედი როგორც როკ-ჯგუფის ვოკალისტმა. მათ ერთმანეთი ერთი წლის წინათ გაიცნეს რობი უილიამსის მიერ მოწყობილ საღამოს წვეულებაზე. მას შემდეგ, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებენ, ერთად არიან.

შეყვარებულებს ჯერჯერობით არავითარი დაბრკოლება არ ელობებათ. თუ არ ჩავთვლით არმსტრონგის სამ შვილს პირველი ქორწინებიდან. თუმცა ბავშვებმა დედასთან ერთად შერილიც შეიყვარეს. კროუმ თავისი სადედამთილოც – ლინდაც მოხიბლა. „ახლა დედაჩემი შერილს უფრო ხშირად მიმართავს, ვიდრე მე. ისინი ერთად თავს კარგად გრძნობენ", – ამბობს ლენსი.

34 წლის სპორტსმენისა და 41 წლის როკ-ვარსკვლავის ქორწილი მომავალ გაზაფხულზე გაიმართება.



## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



არქიმანდრიტი ილია შიოლაშვილი (დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II) და დეკანოზი ვასილ ტაბატაძე. 1960-იანი წლების დასაწყისი. ბათუმი.

მოგვაწოდა ალექსანდრე ტაბატაძემ.

## მოვლენის წინ

# ასეთია „შემოდგომის თბილისის“ პროგრამა

**ტრადიციად დამკვიდრებული ყოველწლიური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ კვლავ უხმობს (ამჯერად მეცამეტედ) მუსიკის მოყვარულთ. ერთი თვის მანძილზე იხმიანებს ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის საკონცერტო დარბაზი, სადაც უკვე დასრულდა შარშან დაწყებული სარემონტო სამუშაოების ერთი ეტაპი. გალამაზდა ფასადი და ფოიე. ხელოსნები ახლა ერთ თვეს შეისვენებენ.**

ამ პოპულარული მუსიკალური ზეიმის აფიშა, როგორც ყოველთვის, ახლაც მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით არის დატვირთული. იგი აერთიანებს კლასიკური მუსიკის, საოპერო, ფოლკლორისა და ჯაზის კონცერტებს. საფესტივალო აუდიტორია გაიცნობს მრავალ ახალ მუსიკოს-შემსრულებელს, შეხვდება აგრეთვე უცხოეთში მოღვაწე იმ ცნობილ შემსრულებლებს, რომელთა ხელოვნებასთან შეხვედრასაც ჩვენი მსმენელი მონატრებულია.

ფესტივალის მთავარი მოქმედი გმირი და საბაზო კოლექტივი, ცხადია, გახლავთ თბილისის სიმფონიური ორკესტრი (იგი თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრთან და ქალაქის მერიასთან ერთად არის „შემოდგომის თბილისის“ დამაარსებელი) ვახტანგ კახიძის დირიჟორობით.

18 სექტემბერს ფესტივალს გახსნის ნიჭიერი ახალგაზრდა მევიოლინე ნათია მდინარაძე, რომელიც რამდენიმე წელია ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში და საკმაოდ ინტენსიურ და წარმატებულ საკონცერტო ცხოვრებას ეწევა. იგი გამოდის როგორც სოლო კონცერტებით, ასევე სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. დამაჯერებელი ტექნიკის, ძლიერი ბგერისა და გრძნობათა სიღრმისათვის მან მსოფლიო პრესის აღიარება მოიპოვა. ნათია მდინარაძე შეასრულებს ჩაიკოვსკის კონცერტს ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. შემდეგ კონცერტზე მას შეენაცვლება ყველასათვის კარგად ცნობილი მევიოლინე ნანა იაშვილი. თბილისელი მსმენელი მას დიდი ხანია არ შეხვედრია.

საქართველოში პირველად ჩამოვა ჰოლანდიური ტრიო „სტორიონი“, რომლის შემადგენლობაში არიან პიანისტი ბარტ ვან დერ როერი, მევიოლინე ვოუტერ ფოსენი და ჩელისტი მარკ ფოსენი. „სტორიონი“ ყველა მნიშვნელოვანი საკონცერტო დარბაზის სტუმარია. ასევე პირველად შეხვდება მსმენელი ინგლისელ პიანისტს კრისტიან ბლექშოუს. იგი აღიარებულია როგორც თავისი ფართო რეპერტუარის ვნებიანი და მგრძნობიარე შემსრულებელი და თანამშრომლობს გამოჩენილ ორკესტრებთან და დირიჟორებთან მთელ მსოფლიოში. თბილისელთათვის იგი ააჟღერებს ბეთჰოვენის №3 საფორტეპიანო კონცერტს.

სოლისტებად მოგვევლინებიან აგრეთვე რუსი პიანისტი ალექსანდრე მელნიკოვი და საფრანგეთში მცხოვრები, წარმოშობით ტაშკენტელი პიანისტი მიხეილ რუდი. პირველი ბეთჰოვენის, ხოლო მეორე რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტებს შეასრულებენ. საინტერესო მუსიკალური



პროექტით „ბლუზი ფორტეპიანოსათვის“ წარსდგება ფესტივალზე ჰოლანდიელი მუსიკოსი მარსელ ვორმსკი. სწორედ იგი წარუძღვება 28 სექტემბერს ჯაზის საღამოს ჯაზ ტრიო „თბილისთან“ (ხელმძღვანელი ოთარ მაღრაძე) ერთად.

ერთი საღამო დაეთმობა ფოლკლორს. ქართული ფოლკლორის მადლს დაატრიალებენ საქართველოს საპატრიარქოს ანსამბლი „ბასიანი“ და თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი.

ფესტივალზე ჩაფიქრებულია ორი საავტორო პროგრამა. კომპოზიტორების გია ყანჩელისა და ნოდარ გაბუნიას საღამოებზე მათ ქმნილებებს ააჟღერებენ ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალური ცენტრის ბიჭუნათა გუნდი, მევიოლინე ნატო გაბუნია, პიანისტი მამიკონ ნახაპეტოვი და ტრიო „სტორიონი“.

20 ოქტომბერს ფესტივალს დააგვირგვინებს კონცერტი ცნობილი ქართველი მომღერლების, დების ეთერ (სოპრანო) და ნათელა (მეცო-სოპრანო) ჭყონიების კონცერტი. ჩვენს მსმენელს, მართლაც, დიდი ხანია არ მოუსმენია მათთვის. ჭყონიები შეასრულებენ არიებს და დუეტებს ცნობილი ოპერებიდან.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

## საეკლესიო კალენდარი

# ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის – „შეუწველი მაყვალის“ დღესასწაული

**17 სექტემბერი ქართულ სამოციქულო ეკლესიაში ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „შეუწველი მაყვალის“ დღეა.**

მარიამ ღვთისმშობელს ხშირად უწოდებენ შეუწველ მაყვალს და მას ცეცხლოვანი ნათლით განათებულს გამოსახავენ.

ღვთისმშობლის წინასახე მოსე წინასწარმეტყველმა იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა. მაყვალი ანთია და არ იწვის, ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება. ხატი – „შეუწველი მაყვალი“ რვაქიმიანი ვარსკვლავის სახით არის გამოსახული, რომელიც ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედისგან შედგება, მათგან ერთი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა და რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა.



რვაკუთხედის შუაგულში, როგორც მაყვალში, ყრმა ღმერთთან ერთად ყოვლადწმინდა ქალწულია გამოსახული. წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში კი – ადამიანი, ლომი, ზვარაკი და არწივი, როგორც ხილული ნიშნები ოთხი მახარებლის მონათხრობის თავისებურებებზე – ღვთაებრივი და უსხეულო ცეცხლის ცხოვრებისა და სწავლების შესახებ, ყოვლადწმიდა ქალწულმა თავის წიაღში დაუწველად რომ მიიღო.

მოამზადა **გიული ლიპარტიამ.**

## გვემრავლოს!

# დათო ჯანმრთელი ბიჭია



– ეთერი ოთხი წელიწადი ელოდა შვილს. მკურნალობა დასჭირდა. იმკურნალა კიდეც ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. შედეგმაც არ დაახანა. ეთერს ამ დღეებში ბიჭი შეეძინა. პატარა დათო ჯანმრთელია. როცა გრძნობ სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას, იმედიანად ხარ. სწორედ ასეთი ექიმები არიან საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში, სადაც ჩემმა ქალიშვილმა იმშობიარა. ჩემი ეთერი დღეს ბიჭის დედაა. ახალგაზრდა ოჯახი შვილის შეძენით გახარებულია. მადლობა თქვენც, ჩემი სიხარულის გაზიარებისთვის.

**სოფიო წულაია,**
თბილისი.

ჩვენი ტელეფონები: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიცინოთ...

**ჩვენს** პოლიციაში ბევრ კარგ ადამიანს შეხვდები, მაგრამ მათთან შეხვედრა მაინცდამაინც არ გვინდა.

* * *

**ამას** წინათ ახალგაზრდა მეცნიერმა ოპიუმის თვისებების გამოკვლევისას პირდაპირ თავის ბინაში პოლიციის ფორმაში გადაცმული რამდენიმე კაცი აღმოაჩინა.

* * *

– **მამიკო,** ყველაზე ძალიან რომელი მატარებელი იგვიანებს?
– არ ვიცი, შვილო, შენი აზრით, რომელი?
– ის, შენ რომ საახალწლოდ შარშან უნდა გეჩუქებინა!

* * *

**სომხურ** რადიოს ეკითხებიან:
– რომელი ერია ყველაზე სექსუალური?
– ჩუქჩები, აბა, წარმოიდგინეთ პირველი საქორწინო პოლარული ღამე!

* * *

**ოფიცერი** ახალწვეულ ჯარისკაცს ეკითხება:
– რატომ წამოხვედი არმიაში?
– ჯერ ერთი, ჩემი სამშობლოს დასაცავად, მეორე – სამხედრო სამსახური გამომაწრთობს, და მესამეც – აქ წამოსვლა ჩემთვის არავის უკითხავს.

* * *

**სტუდენტი** მიწას თხრის, მეორე ეკითხება:
– რას აკეთებ?
– იცი რა, მომცეს დავალება – ვიპოვო კვადრატული ფესვი. მეორე დღეა, ვწვალობ, მაგრამ მხოლოდ მრგვალები მხვდება.

* * *

– **ექიმო,** ძალზე ხშირად ფეხები მიცივდება.
– მეც მიცივდება, მაგრამ როგორც კი ჩემ ცოლთან დავწვები ლოგინში, სწრაფად მითბება. შენც ამას გირჩევ.



– გმადლობთ, ექიმო, მაგრამ თქვენი ცოლი როდის იქნება შინ?

* * *

– **სად** მიდიხარ, კაცო? ეს ხომ ქალთა ტუალეტია, თან ძაღლიც მიგყავს.
– ეს დედალია, მამაკაცთა ტუალეტში შესვლა რცხვენია.

## აღმოსავლური სიბრძნის სამყაროში

# ქველისლური აფორიზმები

ლაე, ცოლ-ქმარმა დააპურონ ჯერ ბავშვები, გაუთხოვარი გოგონები, მოხუცებულები, ფეხმძიმენი, ავადმყოფები, სტუმრები და მოსამსახურენი; და მხოლოდ ამის შემდეგ ჭამონ თვითონაც, რაც დარჩება.

* * *

კარგი ადამიანი გაიღებს თხოვნის გარეშე, საშუალო დონის ადამიანი – თხოვნით, სულმდაბალი არ იძლევა თხოვნითაც.

* * *

ადამიანი, რომელიც ბოროტებას სჩადის, საკუთარ თავსვე მტრობს: იგი ხომ თვითონვე იგემებს შემდეგ თავისი სიავის ნაყოფს.

* * *

რისთვის, რით, როგორ, როდის, რამდენად და სად მოიმოქმედე სიკეთე და ბოროტება, იმისთვის, იმით, ისე, მაშინ და იმდენად მოგიზღავს ბუნება შენც!

* * *

სიმდიდრე ტოვებს მკვდარს სახლის ზღურბლზე, მეგობრები და ნათესავები ტოვებენ მას სასაფლაოზე და მხოლოდ კეთილი და ავი საქმეები მიჰყვებიან მას თან სიკვდილის შემდეგაც.

* * *

ავადმყოფობანი, მწუხარებანი, ტანჯვანი და გაჭირვებანი, – ყოველივე ეს ნაყოფია შეცდომათა იმ ხისა, მოკვდავნი რომ ზრდიან!

* * *

ცოდნა დამოკიდებულია სწავლაზე, პატივისცემის მოხვეჭა – საქმეებზე, კეთილდღეობა – მუყაითობაზე, ჯილდო – ბედ-იღბალზე.

* * *

ორი სათნოებით ბრწყინავს ადამიანი ამქვეყნად: როდესაც არ ხმარობს უხეშ სიტყვებს და არ განადიდებს უღირსს.

* * *

ყოველივე განისაზღვრება სიტყვით, ფესვს იდგამს სიტყვაში, გამოდის სიტყვიდან. ვინც ცრუობს სიტყვაში, ის ცრუობს ყველაფერში.

* * *

არარაობაა ის, ვინც ლაპარაკობს სხვის ნაკლოვანებებზე და საკუთარ ღირსებებზე; არც სხვის ნაკლოვანებებზე და არც თავის სათნოებაზე არ ლაპარაკობს ჭეშმარიტად ღირსეული.

* * *

შემოდგომას თან მოაქვს ჭექა-ქუხილი უწვიმოდ; წვიმა – უქუხილოდ; სულმდაბალი ადამიანი ლაპარაკობს ისე, რომ არ აკეთებს; ღირსეული აკეთებს ისე, რომ არ ლაპარაკობს.

* * *

მხოლოდ ერთხელ გასცემს ბრძანებას მეფე; მხოლოდ ერთხელ გამოთქვამს თავის მოსაზრებას ღირსეული; მხოლოდ ერთხელ ათხოვებენ ქალიშვილს. ამ სამ რაიმეს აკეთებენ მხოლოდ ერთხელ.

* * *

არარაობისგან მუდამ დიდი ხმაური ტყდება. განა ოქროსგან იმდენი ხმაური ისმის, რამდენიც სპილენძისაგან?

* * *

მასწავლებელი სჯობს ათ ბრაჰმანს (უმაღლესი წოდების მატარებელი ინდოეთში), მამა – ათ მასწავლებელს, დედა კი – ათ მამას და ყოველივე იმას, რაც არსებობს ამ ქვეყანაზე. ვინ შეედრება დედას? უნდა დაცილდე მასწავლებელს, რომელმაც გადაუხვია სამართლიანობის გზას, მაგრამ არასდროს არ უნდა მიატოვო დედა. მარტო იმით, რომ თავისი მუცლით გატარა, იგი ყველაზე მაღლა დგას.

* * *

სამ ვინმეს მოაქვს შენთვის სიკეთე საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე: დედას, მამას და მეგობარს. როცა სხვა სიკეთეები მოდის შენთან, მხოლოდ საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე.

თარგმნა **ლაშა დადიანმა.**

## ჩანახატი

# ჩიტებმაც კი გააცილეს...



– დაუჯერებელი რამ მოხდა დაკრძალვის დღეს, – ნაღვლიანად გვიყვება დურმიშხან ცინცაძე დედის გარდაცვალების შესახებ, – რომ ჩააწვინეს სასახლეში და მორთეს-მოკაზმეს ცხონებული, რას ვხედავთ, ჟივილ-ხივილით დაფრინდნენ აივანზე ჩიტები – ბეღურები, სკვინჩები... გამოღებულ კარში ფრთხილად, ფრთების სწორებით შემოვიდნენ, ზოგი ყვავილებზე შემოჯდა, ზოგი სასახლის კიდეზე, იწიაქეს, იწიაქეს... და გაფრინდნენ...

დაატირეს ცხედარს ახლობლებმა, მეზობლის ქალებმა, შენი მეგობარი ჩიტები გამოგეთხოვნენ ზინაო, ყოველ დილით, ქათმებთან ერთად, მაგათაც რომ აპურებდი და შემოჩვეული გყავდა, გაგაცილეს უკანასკნელ გზაზეო...

ვერ დავუდექით ჭირის დღეზე მხარში ჩვენ ძვირფას დურმიშხან ცინცაძეს – ცნობილ ისტორიკოსს, მეგობრებისთვის გულანთებულ კაცს, გაგანია ზაფხული იყო და გაკრეფილი ვიყავით ქალაქიდან, გვიან გავიგეთ დედამისის გარდაცვალების ამბავი... რამდენჯერ უთქვამს, სექტემბერში ასი წლის ხდება დედაჩემი და უნდა წაგიყვანოთ ჩოხატაურში – ზემო ფარცხმაში, უნდა გაქეიფოთ, ზინა კახიანის ქალის დამცხვარი ხაჭაპურები უნდა გაჭამოთო...

ველარ გაძლო დამდნარმა, დალეულმა სხეულმა ას წლამდე, წავიდა დამაშვრალი ქალბატონი, ტკბილი მოხუცი, დამსახურებული პედაგოგი, მთელ რაიონში პატივცემული ადამიანი, წავიდა და გაიყოლა თაობების სიყვარული... დღეს მისი გარდაცვალების მეორმოცე დღეა... ღმერთმა სულ ნათელში ამყოფოს!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

# ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

**საპატრულო** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ლარის კურსი

### 16 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2451 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7900 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1881 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0631 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3911 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3937 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5807 ლარი. |

## ამინდი დღეს

| 16 სექტემბერი | ☼ | ☽ |
|---|---|---|
| თბილისი | 32⁰ | 17⁰ |
| ბათუმი | 30⁰ | 20⁰ |
| სოხუმი | 29⁰ | 18⁰ |
| ქუთაისი | 29⁰ | 18⁰ |
| თელავი | 30⁰ | 17⁰ |

**„საქართველოს რესპუბლიკის“ 2005 წლის 15 სექტემბრის ნომერში გარკვეული ხარვეზით გამოქვეყნდა განცხადება სს „ტელენეტის“ აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. ვბეჭდავთ სრულ ტექსტს.**

# განცხადება

## (სს „ტელენეტი“-ს აქციათა გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე)

ს/ს „ტელენეტი“-ს აქციათა გამოსყიდვის მიზნით, **„გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად“** დადგენილია **2005 წლის 26 სექტემბერი,** რომლის მდგომარეობითაც არსებულ აქციათა ბენეფიციარ მესაკუთრეთაგან მოხდება მყიდველის მიერ აქციათა გამოსყიდვა.

**გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:**

● ს/ს „ტელენეტი“-ს აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე განთავსებულია აქციების გამოსყიდვისათვის საჭირო თანხა (ერთი აქცია – 40 თეთრი), რომლის მიღებაც, გამოსყიდვის რეესტრში ხელის მოწერის შემდგომ, აქციონერებს შეუძლიათ საბროკერო კომპანია **„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფში“,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. № 24.**

● გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი გამოსასყიდი თანხის დეპონირება და აქციები გადავა მყიდველის საკუთრებაში.

აქციონერებს საბროკერო კომპანია „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფის“ ანგარიშის გაცნობა (რომელშიც მითითებულია გამოსყიდვის დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, გამოსასყიდ აქციათა სამართლიანი ფასის დასადგენად გამოყენებული მეთოდი და ამის საფუძველზე განსაზღვრული აქციათა ფასი), შეუძლიათ ს/ს „ტელენეტის“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ: 22-53-51.**

პატივისცემით,
ხელმოწერა
**ირაკლი რუხაძე,**
„ტელეკომ ჯორჯია გრუფი“-ს სახელით.
2005 წლის 15 სექტემბერი.

შვილი ედუარდ ქარსელაძე, შვილიშვილები ნანა და ედინა ქარსელაძეები, რძალი დიანა ქარსელაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ალექსანდრა ქარსელაძე
პანაშვიდი 15, 16 IX, 16 სთ. გამოსვენება 17 IX, 14 სთ. გამსახურდიას გამზ. 2, მე-6 სადარბაზო.

---

ნიკოლოზ ნეფედოვი, ზურაბ ჩხეიძე, თენგიზ მენთეშაშვილი, გურამ გაბუნია, ჯიმი მიქელაძე, გივი გადელია, ავთანდილ საყვარელიძე, ოთარ ხატიაშვილი, ირაკლი ჟორდანია, ბორის სარალიძე, ოთარ ქვილითაია, მურთაზ მიქელაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ლორთქიფანიძე, თამაზ ბოჭორიძე, კახი კავსაძე, ომარ მხეიძე, ბუჭუ ბერიძე, ოთარ აბდუშელიშვილი, გურამ ფერაძე, თამაზ ცინცაძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შოთა კირვალიძეს საყვარელი ძმის
ილიას
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგას ზაურ მაისაიას სიდედრის
სოფო (სონია) ვლადიმერის ასულ გოგორიშვილის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი თანაუგრძნობს ინსტიტუტის ინჟინერ-ეკონომისტს თამარ ხანიაშვილს დედის
აზრაფინა ხანიაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის ახლობლებს.

---

შპს „ცენტრის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ლამარა ფირცხალავა
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ხულოს რაიონის დედათა და ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელის
არჩილ მარკოიძის
გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

რევაზ, სალომე და პაატა ცივაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გულნარა იუსუფის ასული ცივაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 17 IX, 16 საათზე, დაკრძალვა 18 IX, 15 საათზე.
გამოსვენება ბათუმი, ერას ქ. №36.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ალეკო ასლანიშვილი.
მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK